პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

კვირა 14 მაისი 1978 წ. № 114 (17158) ფასი 2 კაპ.

გაორკეცებული შრომით აღვნაკვეთურლეთ შამინდობით დაკარგული დრო!

მეტი საკვები — მეტი ხორცი და რძეა

მ. მეზვრიშვილი,
პარტიის საბარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი

...უნდა გამოვიყენოთ საკვების მოკოვების ყველა არსებული რეზერვი, გავითვალისწინოთ მინდინარე გამოზამთრების მწარე გამოცდილება, ყველა რაიონში, ყველა მეურნეობაში, თითოეულ ფერმაში უთუოდ შეიქმნათ საკვების სარეზერვო მარაგი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილმა კიდევ უფრო მეტი სტიმული მისცა საგარეჯოს რაიონის მშრომელების, მუშების, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის, ყველა კომუნისტისა და კომკავშირელის შრომითს ენთუზიაზმს, ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან უამინდობის შედეგები და გაორკეცონ საკვების დამზადების ტემპი, რათა ყველა ფერმას ჰქონდეს საკვების საკმაო მარაგი.

საგარეჯოელ საკვებმომპოვებელთა ამოცანაა წლეულს დამზადონ 47.800 ტონა უხეში საკვები (მათ შორის 32.000 ტონა სენაჟი და 13.000 ტონა თივა), 16.300 ტონა სილოსი, 3.650 ტონა ძირხვენები და 600 ტონა თივის ფხვნილი. ეს გეგმები პასუხსაგებია, მაგრამ რაიონის საკვებმომპოვებლებმა გაცილებით დიდი ვალდებულებები იკისრეს. ერთ პირობით სულ მახვილფეხა რქიან პირუტყვზე დაამზადებენ 16 ცენტნერ საკვებ ერთეულს, ხოლო მთლიანად საგეგმო 19.030 ტონა საკვები ერთეულის ნაცვლად, 28.045 ტონა საკვებ ერთეულს.

საკვების მარაგის შესაქმნელად ნათეს ბალახებთან ერთად მაქსიმალურად გამოვიყენებთ ყველა რეზერვს; ნაწვერალზე დავთესავთ 2.200 ჰექტარ სიმინდსა და ფარიას.

ვფიქრობთ, საკვებით მთლიანად უზრუნველყოფთ არა მარტო საზოგადოებრივი მეურნეობების პირუტყვს, არამედ, ტრადიციისაებრ, უხეში საკვებით დავეხმარებით რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონს.

საკვების დამზადების დროს დიდ ყურადღებას დავუთმობთ მის ყუთობანობას. 10 ათას ტონა სილოსს გავამდიდრებთ კარბამიდით, ხოლო 2 ათას ტონა ნაძაღს დავასილოსებთ რძემაჟა დედოს გამოყენებით. მივადწევთ იმას, რომ პირუტყვს უხეში საკვები ეძლოდეს მხოლოდ წინასწარ შემზადებული სახით.

საკვებმომპოვების საქმეში სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მნიშვნელოვან ღონისძიებად მიგვაჩნია ახლო მომავალში რაიონში სპეციალური გაერთიანების შექმნა, რომელიც საკვებით მოამარაგებს ჩვენს მეცხოველეობის კომპლექსებს, ამასთან ჩვენ ყოველმხრივ შევეწყობით ხელს პირადი დამხმარე მეურნეობების საკვები ბაზის განვითარებას. გავაღიდებთ მოსახლეობისათვის გამოყოფილი თივისა და უხეში საკვების რაოდენობას. ვინც პირნათლად გაანაღდებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ვალდებულებას, დამატებით გამოეყოფა კომბინირებული საკვები, შესაძლებლობა მიეცემა პირველ რიგში შეიძინოს მსუბუქი ავტომანქანები, ავეჯი და სხვა ნივთები.

ახლა რაიონში ფართო მოძრაობა გაჩაღდა ხორცის წარმოების კიდევ ერთი რეზერვის — მეგოცვრეობის განვითარებისათვის. ბევრ სოფელში ოჯახები მასობრივად მისდევენ ამ საქმეს, რომლის შემდგომი წინსვლისათვის რაიონში ამას წინათ მოეწყო ნორჩ მეგოცვრეთა შეკრება. ახლა რაიონის თითქმის ყველა სკოლაში მისდევენ ბოცვრის მოშენებას.

რაიონის პარტიული აქტივი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელები ყოველდღიურად ეხმარებიან მეურნეობებს იმისათვის, რომ არ დაიკარგოს არც ერთი კილოგრამი საკვები.

საგარეჯოელი საკვებმომპოვებლები, მეცხოველეები მთელი მოსახლეობა არაფერს არ დაიშურებენ **ემისათვის**, რომ პირნათლად გაანაღდონ ხუთწლედის მესამე წლის სახელმწიფო გეგმები და ვალდებულებები, **სახელმწიფოს მიჰყიდონ 3.900 ტონა ხორცი, 4.600 ტონა რძე, 374,5 ტონა მატყლი და 36 მილიონი კვერცხი.**

ოქტომბრის შრომის პარტიის XI ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალე ძმურ სალამს უთვლის შვეიცარიის შრომის პარტიის XI ყრილობის დელეგატებს და გულწრფელად უსურვებს წარმატებას ყრილობის მუშაობაში.

საბჭოთა კომუნისტებმა კარგად იციან, რა თანმიმდევრულ ბრძოლას ეწევა თქვენი პარტია მუშათა კლასის საარსებო მოთხოვნებისათვის, მშრომელთა სოციალური და დემოკრატიული უფლებებისათვის. გამოხატავს რა თავისი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, თქვენი პარტია მნიშვნელოვან წვლილს მატებს დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის ბრძოლას, იღვწის ტრადიციული ნეიტრალიტეტის პოლიტიკის საფუძველზე ევროპის კონტინენტის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში შვეიცარიის აქტიური მონაწილეობისათვის, საბჭოთა ხალხისა და შვეიცარიელი ხალხის მეგობრობისათვის.

დღეს მშრომელების, განსაკუთრებით მათი ავანგარდული ძალების — კომუნისტური პარტიების საერთაშორისო სოლიდარობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამალებული შეიარაღებისა და ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებებისათვის, მსოფლიოს სოციალური პროგრესისათვის. შვეიცარიის შრომის პარტია მტკიცედ უჭერს მხარს ბერლინის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციის იდეებსა და დასკვნებს და იცავს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებით, იღვწის კომუნისტური პარტიების აქტიური ამხანაგური ურთიერთობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობისათვის, იბრძვის ანტიკომუნიზმისა და ანტისაბჭოურობის წინააღმდეგ, სოციალიზმის პოზიციების ძირგამოთხრის თუ დასუსტების სხვადასხვა ცდების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კმაყოფილებას გამოთქვამს, რათა განამტკიცოს ძმური ურთიერთობა შვეიცარიის შრომის პარტიასთან.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, კიდევ უფრო განგმტკიცებინოთ შვეიცარიის შრომის პარტიის რიგები და მასებთან კავშირი, ახალი წარმატებანი მოგეპოვებინოთ დემოკრატიის, მშვიდობისა და სოციალიზმის იდეალებისათვის საბრძოლველად თქვენი ქვეყნის მშრომელთა შეკავშირების საქმეში.

გაუმარჯოს შვეიცარიის შრომის პარტიას!

გაუმარჯოს კომუნისტთა საერთაშორისო სოლიდარობას!

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მოსწავლეთა აღზრდის გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლის, აღზრდის შემდგომი სრულყოფისა და შრომისათვის მათი მომზადების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სახალხო განათლებისა და კომუნისტური სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ყოველდღიური ზრუნვის მეობებით უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობაში გარკვეული წარმატებებია მიღწეული. ძირითადად დამთავრდა საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა, გაუმჯობესდა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა. სწავლებისა და აღზრდის პროცესი უფრო მჭიდროდ უკავშირდება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, გაუმჯობესდა ცალკეული დისციპლინების სწავლება, ამაღლდა მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი, ინტერნაციონალური, სამხედრო-პატრიოტული, ესთეტიკური აღზრდის დონე, გაიზარდა მოსწავლეთა მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში.

ამასთან, ნათქვამია დადგენილებაში, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მთელი რიგი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ჩამორჩება საერთო-საკავშირო დონეს. სერიოზული ნაკლოვანებებია კომუნისტური ზნეობის, კოლექტივიზმისა და ურთიერთდახმარების, სოციალისტური დისციპლინისა და ორგანიზებულობის, ქცევის მაღალი კულტურის, უფროსებისადმი პატივისცემის, სწავლისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდის საქმეში. მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდასა და ფიზიკურ განვითარებაში. სასწავლო პროცესი საკმარისად არ არის დაკავშირებული შრომითს აღზრდასთან.

სერიოზულ გაუჯობესებას მოითხოვს უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგიური კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების პრაქტიკა, მუშაობა სკოლების ხელმძღვანელებთან. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და უმაღლესი სასწავლებლების კათედრები გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად და სისტემატურად არ იკვლევენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის პრობლემებს.

დადგენილებაში ნაზგასმულია, რომ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა კონკრეტულად და საგნობრივად გადაჭრან მოზარდი თაობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის პრობლემები, ძირეულად გარდაქმნან სახალხო განათლებისადმი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისადმი ხელმძღვანელობა.

ნაქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაევალა დაიჩქაროს სამინისტროს კოლეგიისა და მისი აპარატის, აფხაზეთისა და აჭარის განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, სახალხო განათლების განყოფილებათა მუშაობის გარდაქმნა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის შემდგომი სრულყოფისა და შრომისათვის მათი მომზადების მიზნით; საჭიროა გაუჯობესდეს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი სკოლებში, დაიხვეწოს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, გაუმჯობესდეს სასწავლო გეგმები, პროგრამები, სახელმძღვანელოები, დაძმარი თვალსაჩინოების საშუალებანი, განსაკუთრებით ქართული ენისა და ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიაში, არარუსული სკოლებისათვის რუსულ ენასა და ლიტერატურაში. უნდა ამაღლდეს საზოგადოებრივ და შუამანძარულ, ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკური დისციპლინების სწავლების დონე.

სამინისტროს უნდა განაზორციელოს ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო გააუმჯობესოს ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება, უზრუნველყოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მთლიანად შესრულება რესპუბლიკის სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების ძირეული გაუმჯობესების შესახებ.

საჭიროა დროულად იქნეს უზრუნველყოფილი სკოლა საჭირო რაოდენობის სახელმძღვანელოებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით. მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების, მასწავლებლებისათვის მეთოდიკური ლიტერატურის შექმნაში ფართოდ უნდა ჩავაბათ მეცნიერები, მწერლები და სპეციალისტები, საუკეთესო პედაგოგები.

1978 და 1979 წლების მანძილზე თბილისის, ქუთაისისა და რესპუბლიკის სხვა დიდი ქალაქებისა და რეგიონების მოწინავე სკოლები უნდა იქცნენ მოსწავლეთა სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის, მათი სოციალური და პროფესიული ორიენტაციის, შრომისათვის მომზადების დარგში მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების ორგანიზაციის ცენტრებად.

„მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სახელოთშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ორგანიზაციის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების უთუო შესრულებისათვის საჭიროა გამოეცემულ იქნეს სკოლების მახლობლად განლაგებული როგორც საბაზო საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ისე პროფტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლების სახელოსნო-საწარმოო ბაზები; ჩაიბმნ მოსწავლეები საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მათი ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისად.

დადგენილება რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა მოსწავლეთა შრომითი სწავლებისათვის ყოველმხრივ გამოიყენონ შრომისა და დასვენების საზაფხულო ბანაკები და მოსწავლეთა სხვა შრომითი გაერთიანებანი, ლაბორატორიები და კაბინეტები, უზრუნველყონ მოსწავლეთა რეგულარული უფასო მიყვანა შრომის ადგილებზე. საჭიროა ყურადღება დაეთმოს გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას; მათი სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას, განსაკუთრებით ხოფლად.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წინადადება მიეცა სახალხო განათლების ხაოლქო, საქალაქო და რაიონული განყოფილებებში დამატებით შექმნან მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის ინსპექტორის შტატები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, რომლებსაც ექვემდებარებიან საშუალო სპეციალური და პროფტექნიკური სასწავლებლები, უნდა სრულყონ პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და სკოლების მეცხრე კლასების დაკომპლექტების პრაქტიკა რვა კლასის კურსდამთავრებულებით ერთიანი, წლიური და პერსპექტიული გეგმების საფუძველზე, ამასთან იხელმძღვანელონ ადგილებზე კვალიფიციური კადრების მოთხოვნილებით და გაითვალისწინონ თვით მოსწავლეთა მიერ სასწავლებლის არჩევის უფლება.

სკოლების მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონის სისტემატური და გეგმაზომიერი ამაღლების მიზნით სკოლების ყველა ხელმძღვანელმა, კომუნისტმა პედაგოგებმა და საზოგადოებათმცოდნეობის დისციპლინების მასწავლებლებმა საღამოს უნივერსიტეტებში უნდა გაიარონ მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების კურსი 1980 წლის დამლევამდე, ხოლო სკოლების დანარჩენმა მასწავლებლებმა — 1985 წლამდე.

რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინადადება მიეცათ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით სამი თვის ვადაში შეიმუშაონ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს წარუდგინონ წინადადებანი 1980-1990 წლებისათვის საქართველოში პედაგოგიური კადრების მომზადებისა და გამოყენების მოწესრიგების, აგრეთვე სახალხო მეურნეობაში უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე დროებით უმუშევარი სპეციალისტების გამოყენების შესახებ.

საჭიროა გავითვალისწინოთ იმ ფაკულტეტებისა და განყოფილებების ქსელის შემდგომი განვითარება, რომლებიც შრომის მასწავლებლებსა და ხელოვნურ სწავლების ოსტატებს მოამზადებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის საინჟინრო-ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში.

დადგენილება საქართველოს პროფსაბჭოს, პროფკავშირთა რესპუბლიკური დარგობრივი კომიტეტების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა საქართველოს ალკაკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად უზრუნველყონ პროფკავშირული ორგანიზაციებმ აქტიური მონაწილეობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის გაუმჯობესებაში, სოციალისტური შეჯიბრების აქტივიზაციის ღონისძიებათა განხორციელებაში. მათ მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაუთმონ ბავშვებს შორის, განსაკუთრებით ზაფხლის არდადეგების დროს, გამოჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებას, მოსწავლეთა კლუბების, სპორტული სექციებისა და წრეების საქმიანობის, აგრეთვე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსწავლეთა დასვენების ორგანიზაციას.

საქართველოს კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, მწერალთა, მხატვართა, კინემატოგრაფისტთა კავშირებსა და საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას წინადადება ეძლევათ აქტიურად ჩაებან მოზარდი თაობის ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის მუშაობაში, შეიმუშაონ წინადადებანი ღრმა მხატვრული და მაღალიდეური ლიტერატურის, თეატრის ნაწარმოებების, სიმღერების, ხელოვნების სხვა სახეობათა შექმნის შესახებ და სამი თვის ვადაში წარმოადგინონ ცენტრალურ კომიტეტში განსახილველად.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ საჭიროა ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლაში, სკოლა-ინტერნატებში შეიქმნას ბუფეტები ან სასადილოები, დაწესდეს მოსწავლეთა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის თანამედროვე მოდელები, გაუმჯობესდეს ბავშვთა საყოფაცხოვრები მომსახურება, უზრუნველყოფილ იქნეს სკოლების მომარაგება სასწავლო პროცესისათვის ყოველივე აუცილებელი, გამოიყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი სოფლად მოსწავლეთა გადაყვანისათვის.

საქართველოს სსრ მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ უნდა უზრუნველყონ სკოლის შენობებისა და სკოლამდელი დაწესებულებების დროული და ხარისხიანი მშენებლობა, მთლიანი კომპლექსით მათი ხაჟესლოტაციოდ გადაცემა, მთლიანად აითვისონ ამ ობიექტებისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ თავის დადგენილებაში გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ახლა, როცა საქართველოს სსრ რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური ზრუნვის მეობებით რესპუბლიკაში შექმნილია მტკიცე პოლიტიკური, ეკონომიური და მორალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და სოციალურ-კულტურული პროგრესის დაჩქარებისათვის, შექმნილია ყველა პირობა, რომ გადაიჭრას სკოლის პრობლემები, საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, სამინისტროები და უწყებები, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები და რესპუბლიკის ყველა მშრომელი ძალღონეს არ დაიშურებენ იმისათვის, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლა მთლიანად და სავსებით შეესაბამებოდეს სკკპ XXIV ყრილობის. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნებს. (საქინფორმი).

ᲮᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲐᲜ ᲙᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲩᲐᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲠᲝᲜᲔᲑᲘ

მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის ონამირის რაიონში ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი დაიწყეს, ჩაის ფაბრიკაში გაგზავნეს ნაღლეულის პირველი ტონები.

მოქველი მეჩაიეები პირობას დებენ, რომ წლეულს მოკრეფენ და სახელმწიფოს ჩააბარებენ სამი ათას ტონა „მწვანე ოქროს“, რაც დაავალებაზე 400 ტონით მეტია.

მექანიზატორთა შეჯიბრებას, რაც ფართოდ გაიშალა ჩაის კრეფის პირველი დღეებიდანვე, ამჟამად სათავეში უდგას „საქართველოს“ მექანიკოსი მძღოლი ალექსი ტარბა.

შარშან მან მოკრიფა 80 ტონა ხარისხოვანი ჩაი, 30 ტონით გადააჭარბა საგეგმო დავალებას. მიმდინარე სეზონში კი გადაწყვეტილი აქვს თავისი მიჯნა 90 ტონამდე გაზარდოს.

სურათებზე: ჩაის ფოთლის კრეფა მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებზე; მოწინავე მძღოლი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ალექსი ტარბა.

Ი. ᲞᲝᲩᲮᲘᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გუშინ მინდვრებში, კლანტაციებსა და ფერმებში

ᲧᲘᲗᲘᲚᲬᲧᲐᲠᲝ, („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის გაცნობის შემდეგ რაიონის მშრომელები გაორკეცებული ენერგიით შრომობენ, რომ მოკლე დროში დაამთავრონ საგაზაფხულო თესვა. სამარცვლე პარკოსანი კულტურების თესვა დამთავრდა, ნაცვლად 450 ჰექტარისა დათესილია 700 ჰექტარამდე, ლობიო 200 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 212 ჰექტარი. მთავრდება მზესუმზრაის თესვა, დათესილია 1.418 ჰექტარი. გუშინ სამარცვლე სიმინდი და მზესუმზრა 100-100 ჰექტარი დათესეს.

ᲪᲮᲐᲯᲐᲘᲐ. („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). ფიდი და პატარა ჩაის ფოთლის კრეფაზე გასული, ჩქარობენ, რომ ავდრით გამოწეული დანაკლისი მოკლე დროში დაფარონ და ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის დავალება ვადამდე შეასრულონ. გუშინ ჩაის ფოთოლს 500-ზე მეტი მეჩაიე კრეფდა. ერთ დღეს 300 ცენტნერამდე მაღალხარისხოვანი ფოთოლი მოიკრიფა. კრეფა წარმატებით მიმდინარეობს ზანის და უშფათის კოლმეურნეობებში, გეჯეთისა და ნოქალაქევის მეურნეობებში.

ᲥᲐᲠᲔᲚᲘ. („კომუნისტის“ კორ.). საზოგადოებრივ მეურნეობებში გაჩაღებულია საგაზაფხულო სამუშაოები. მექანიზატორები დღეურ დაავალებას ორმაგად ასრულებენ. დამთავრდა შაქრის ჭარხლის თესვა, ნაცვლად 1.092 ჰექტარისა დათესილია 1.100 ჰექტარზე მეტი. ავდრის გამო ჩამორჩენა იყო სიმინდისა და პარკოსანი კულტურების თესვაში. ეს სამუშაოები აქ ახლა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲩᲐᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲠᲝᲜᲔᲑᲘ

ᲕᲘᲢᲔᲜᲐᲛᲘᲡ ᲛᲠᲔᲚᲘ — ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ

ᲑᲐᲙᲣ. აზერბაიჯანის ს. მ. კიროვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოროშას დღეს მიაბიეს. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის „მეგობრობის“ ორდენი. ეს ჯილდო უმაღლეს სასწავლებელს მიეკუთვნება. მომმე ქვეყნის სამეცნიერო და ტექნიკური ელიტების მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის. (საკდესი).

ᲛᲘᲣᲖᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-1006“

1978 ᲬᲚᲘᲡ 12 მაისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1006“.

თანამგზავრზე დადგმული ხელეწიერი აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი მუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ᲕᲘᲒᲒᲘᲢᲘ ᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ

12 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ძოადგილე ვ. ა. კირილინი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. თ. მალცევი მივიდნენ სსრ კავშირის რომის საელჩოში და ხელი მოაწერეს სამმხრივის სამგლოვიარო წიგნში იტალიის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის, ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ალდო მოროს ტრაგიკული დაღუპვის გამო. (საკდესი).

Კ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

13 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის № 678 ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, სადაც „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 108-ე მუხლის შესაბამისად 28 მაისს დანიშნული არჩევნები.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ი. ლაღიძემ შეკრებილთ აცნობა, რომ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივებმა საარჩევნო კრებებზე ერთსულოვნად დასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თენგიზ ნიკოლოზის ძე მენთეშაშვილი. ამ კანდიდატურას მხარი ეჭიროთ დაუჭიროს მხარი აღნიშნულ საარჩევნო ოლქში შემავალი თბილისის, წალკის, თიანეთისა და თეთრი წყაროს რაიონების მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივებმა. **საოლქო** კომისიის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია და წინადადება შეიტანა გაატარონ იგი რეგისტრაციაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ამ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სხდომაზე გამოსულმა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა და საზოგადოებრივობის წარმომადგენლებმა: მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ი. ჯაფარიძემ, № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშამ ზ. დ. მეტრეველმა, თიანეთის რაიონის ერწოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ვ. მ. დოლიაძემ, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა ა. ა. ძიძიგურამ და სხვებმა. მათ გულთბილად ილაპარაკეს დეპუტატობის კანდიდატზე, თქვეს, რომ ქალაქის პარტიული ორგანიზაცია ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა, რათა ხორცი შეასხას სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, შეასრულოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცხობილი დადგენილებანი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებები.

საოლქო საარჩევნო კომისიამ საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების მონაწილეობით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქ. თბილისის № 678 ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარა **თენგიზ ნიკოლოზის ძე მენთეშაშვილი.**

(საქინფორმი).

13 ᲛᲐᲘᲡᲘ

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲛᲐᲘᲡᲘᲡ დამდეგი აღინიშნა საერთაშორისო მასშტაბის უმნიშვნელოვანესი მოვლენით: გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მღვნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ოფიციალური ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. საბჭოთა ადამიანები, მსოფლიოს საზოგ

საპატიო ჯილდო სტავროპოლის დროშაზე

სტავროპოლს გადაეცა ოქტომბრის რევოლუციის ორდენი

სტავროპოლი, 12 მაისი (საკ-დესის სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა სსკპ საქალაქო კომიტეტისა და საბალნო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ქალაქ სტავროპოლისათვის ოქტომბრის რევოლუციის ორდენის გადაცემას.

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

შეკრებილნი ბულობილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს მ. ა. სუსლოვს. მან სხდომის მონაწილეთა ტაშის გრიალში წაიკითხა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მისალმება პარტიის სტავროპოლის საქალაქო კომიტეტისადმი, საქალაქო აღმასკომისადმი, ქალაქის ყველა მშრომელისადმი.

სტავროპოლს, თქვა ამხ. მ. ა. სუსლოვმა, ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადაეცემა იმ დროს, როცა პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი დაძაბულ აღმშენებლობითს ბრძოლას ეწევიან სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის. წლევანდელმა წელმა ეს ტაფფეტა მიიღო საიუბილეო 1977 წლისგან, რომელშიც ჩვენმა ქვეყანამ იდღესასწაული რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი, თითქოს შეჯამა თავისი შესანიშნავი სოციალისტური განვითარების, იმ ულრმესი სოციალური გარდაქმნების ჯამი, ოქტომბრის გავლენით რომ მოხდა მთელ მსოფლიოში. ოქტომბრის რევოლუციის იუბილე და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის — განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის მიღება მკაფიოდ მოწმობს მარქსიზმ-ლენინიზმის მსოფლიო გამარჯვებას.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ბრძოლისა და გამარჯვების გზით მიდის სტავროპოლის მხარე. სტავროპოლელებს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ და შეაქვთ ქვეყნის ძლიერების განმტკიცებაში, კომუნისტური მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში და საბართლიანადაც დაიმსახურეს სამშობლოს მაღალი შეფასება.

ქალაქ სტავროპოლს მაღალი ჯილდო მიენიჭა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში დიდი წარმატებებისათვის, რეკოლუციური მძიერობაში, გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში დამსახურებისათვის და დაარსების 200 წლისთავთან დაკავშირებით.

შექმნის პირველი დღეებიდანვე სტავროპოლს მარტო სამხედრო მნიშვნელობა როდი ჰქონდა: ქალაქი დიდსა და ნიადაგ მზარდ როლს ასრულებდა მიმდებარე ველებისა და მთის რაიონების სამეურნეო განვითარებაში, ამ კრაცელი და მდიდარი მხარის კულტურულ გარდაქმნაში. იგი ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ხალხების რუს ხალხთან დაახლოების დიდმნიშვნელოვანი ცენტრი იყო.

1921 წელს ვ. ი. ლენინი კავკასიელი კომუნისტებისადმი წერილში აღნიშნავდა, რომ საჭირო იყო ყოველმხრივ განვითარებინათ დაგვიანული მიწების რწყვა. იგი წერდა: „მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განაპირობებს სოციალიზმზე გადასვლას“ (იხს. კრებ, ტომი 32, გვ. 399-400).

მხოლოდ კოლექტიურ მეურნეობებად გაერთიანებული გლეხთა კომლების საერთო მეცადინეობით, მხარის მთელი მოსახლეობის ყველაზე უშუალო და აქტიური მონაწილეობით შეიძლებოდა განხორციელებულიყო იმ დროისათვის გიგანტური გასარწყვებისა და დარწყვის სამუშაოები. სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობისათვის ჭეშმარიტად ისტორიული საქმე გახდა ნევინომისკის არხის, იმანაგი ერთ-ერთი უდიდესი საირიგაციო ნაგებობის მშენებლობა. მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საირიგაციო ნაგებობათა ფართო სისტემას, რომელიც დღეს მოქმედებს სტავროპოლის მხარეში.

ქალაქ სტავროპოლისა და მხარის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებული გარჯით ქმნიდნენ სოციალისტურ საზოგადოებას, იღვწოდნენ მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის. მაგრამ საბჭოთა ხალხს მშვიდობიანი, შემოქმედებითი, აღმშენებლობითი საქმიანობა შეაწყვეტინა ომმა, რომელიც ფაშისტებმა დაგვატეხეს თავს.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდა 320 ათასი სტავროპოლელი, ასიათასობით ადამიანს ზურგში თავდადებული მუშაობით თავის წვლილი შეჰქონდა ბოროტ და ძლიერ მტერზე გამარჯვების საქმეში. და საშობლოს ერთგულებით, ხალხს, სოციალიზმის ერთგულებით ყველგან საბაგალითონი იყვნენ კომუნისტები.

მტრის განდევნის შემდეგ სამხარეო ცენტრისა და მთელი სტავროპოლის მხარის კომუნისტებმა, მშრომელებმა ნამდვილი ბრძოლა გამოიჩინეს დანგრეული მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში და პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის უდიდესი დახმარების წყალობით ძველ ვადაში ნანგრევებიდან და ნაცარტუტიდან აღსდგა სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სკოლები, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებები, საკავშირო ჯანმრთელობის კერები. ომის დამთავრებიდან პირველ ხუთ წელიწადში მხარის სამრეწველო წარმოების წყალობით მოცულობამ ომამდელ დონეს მიაღწია.

განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება სტავროპოლის მხარისა და ქალაქის სახალხო მეურნეობა პარტიის XXIII, XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულების მსვლელობაში. ამ წლების მანძილზე აშენდა ასობით სამრეწველო საწარმო და საამქრო. სამრეწველო წარმოების მოცულობის ნახევარზე მეტი ამჟამად მოდის მანქანათმშენებლობაზე, ლითონდამუშავებასა და ქიმიურ მრეწველობაზე.

სრულდება მიმდინარე წლის დავალებანიც. მთელ ქვეყანასთან ერთად სტავროპოლელები აქტიურად ჩაებნენ ხუთწლედის მესამე წლის მაღალ ზრომთის რიტმში თავიანთი ძალები წარმართეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, მშრომელებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში ჩამოყალიბებული კონკრეტული მოქმედების პროგრამის განხორციელებისათვის. ასეთი ღონისძიებების შემდგომი ზრდა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ქალაქისა და მხარის მრეწველობის მუშაობაში, განსაკუთრებით კაპიტალურ მშენებლობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი, გამოუყენებელი რეზერვი ხუთწლედის მთავარი ამოცანის — პროდუქციის წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ამოცანის გადაწყვეტისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტექნიკურ-ეკონომიკურ ანალიზსა და თვითღირებულების შემცირება. ვალდებულ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მხარის მეცხოველეობის მთავარ დარგს — ნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარებას.

ისევე როგორც ყველგან ქვეყანაში, თქვა მ. ა. სუსლოვმა, სტავროპოლის მხარეშიც უდიდესი გარდაქმნები მოხდა ეხოვრების მატერიალურ და კულტურულ პირობებში. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე აშენდა ასობით სამრეწველო საწარმო და საამქრო. სამრეწველო წარმოების მოცულობის ნახევარზე მეტი ამჟამად მოდის მანქანათმშენებლობაზე, ლითონდამუშავებასა და ქიმიურ მრეწველობაზე.

სრულდება მიმდინარე წლის დავალებანიც. მთელ ქვეყანასთან ერთად სტავროპოლელები აქტიურად ჩაებნენ ხუთწლედის მესამე წლის მაღალ ზრომთის რიტმში თავიანთი ძალები წარმართეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, მშრომელებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში ჩამოყალიბებული კონკრეტული მოქმედების პროგრამის განხორციელებისათვის. ასეთი ღონისძიებების შემდგომი ზრდა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ქალაქისა და მხარის მრეწველობის მუშაობაში, განსაკუთრებით კაპიტალურ მშენებლობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი, გამოუყენებელი რეზერვი ხუთწლედის მთავარი ამოცანის — პროდუქციის წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ამოცანის გადაწყვეტისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტექნიკურ-ეკონომიკურ ანალიზსა და თვითღირებულების შემცირება. ვალდებულ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მხარის მეცხოველეობის მთავარ დარგს — ნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარებას.

ისევე როგორც ყველგან ქვეყანაში, თქვა მ. ა. სუსლოვმა, სტავროპოლის მხარეშიც უდიდესი გარდაქმნები მოხდა ეხოვრების მატერიალურ და კულტურულ პირობებში. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე აშენდა ასობით სამრეწველო საწარმო და საამქრო. სამრეწველო წარმოების მოცულობის ნახევარზე მეტი ამჟამად მოდის მანქანათმშენებლობაზე, ლითონდამუშავებასა და ქიმიურ მრეწველობაზე.

ქალაქ სტავროპოლის მაღალი ჯილდო მიენიჭა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში დიდი წარმატებებისათვის, რეკოლუციური მძიერობაში, გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში დამსახურებისათვის და დაარსების 200 წლისთავთან დაკავშირებით.

შექმნის პირველი დღეებიდანვე სტავროპოლს მარტო სამხედრო მნიშვნელობა როდი ჰქონდა: ქალაქი დიდსა და ნიადაგ მზარდ როლს ასრულებდა მიმდებარე ველებისა და მთის რაიონების სამეურნეო განვითარებაში, ამ კრაცელი და მდიდარი მხარის კულტურულ გარდაქმნაში. იგი ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ხალხების რუს ხალხთან დაახლოების დიდმნიშვნელოვანი ცენტრი იყო.

1921 წელს ვ. ი. ლენინი კავკასიელი კომუნისტებისადმი წერილში აღნიშნავდა, რომ საჭირო იყო ყოველმხრივ განვითარებინათ დაგვიანული მიწების რწყვა. იგი წერდა: „მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განაპირობებს სოციალიზმზე გადასვლას“ (იხს. კრებ, ტომი 32, გვ. 399-400).

მხოლოდ კოლექტიურ მეურნეობებად გაერთიანებული გლეხთა კომლების საერთო მეცადინეობით, მხარის მთელი მოსახლეობის ყველაზე უშუალო და აქტიური მონაწილეობით შეიძლებოდა განხორციელებულიყო იმ დროისათვის გიგანტური გასარწყვებისა და დარწყვის სამუშაოები. სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობისათვის ჭეშმარიტად ისტორიული საქმე გახდა ნევინომისკის არხის, იმანაგი ერთ-ერთი უდიდესი საირიგაციო ნაგებობის მშენებლობა. მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საირიგაციო ნაგებობათა ფართო სისტემას, რომელიც დღეს მოქმედებს სტავროპოლის მხარეში.

ქალაქ სტავროპოლისა და მხარის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებული გარჯით ქმნიდნენ სოციალისტურ საზოგადოებას, იღვწოდნენ მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის. მაგრამ საბჭოთა ხალხს მშვიდობიანი, შემოქმედებითი, აღმშენებლობითი საქმიანობა შეაწყვეტინა ომმა, რომელიც ფაშისტებმა დაგვატეხეს თავს.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდა 320 ათასი სტავროპოლელი, ასიათასობით ადამიანს ზურგში თავდადებული მუშაობით თავის წვლილი შეჰქონდა ბოროტ და ძლიერ მტერზე გამარჯვების საქმეში. და საშობლოს ერთგულებით, ხალხს, სოციალიზმის ერთგულებით ყველგან საბაგალითონი იყვნენ კომუნისტები.

მტრის განდევნის შემდეგ სამხარეო ცენტრისა და მთელი სტავროპოლის მხარის კომუნისტებმა, მშრომელებმა ნამდვილი ბრძოლა გამოიჩინეს დანგრეული მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში და პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის უდიდესი დახმარების წყალობით ძველ ვადაში ნანგრევებიდან და ნაცარტუტიდან აღსდგა სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სკოლები, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებები, საკავშირო ჯანმრთელობის კერები. ომის დამთავრებიდან პირველ ხუთ წელიწადში მხარის სამრეწველო წარმოების მოცულობამ ომამდელ დონეს მიაღწია.

განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება სტავროპოლის მხარისა და ქალაქის სახალხო მეურნეობა პარტიის XXIII, XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულების მსვლელობაში. ამ წლების მანძილზე აშენდა ასობით სამრეწველო საწარმო და საამქრო. სამრეწველო წარმოების მოცულობის ნახევარზე მეტი ამჟამად მოდის მანქანათმშენებლობაზე, ლითონდამუშავებასა და ქიმიურ მრეწველობაზე.

ქალაქ სტავროპოლის მაღალი ჯილდო მიენიჭა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში დიდი წარმატებებისათვის, რეკოლუციურ მძიერობაში, გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში დამსახურებისათვის და დაარსების 200 წლისთავთან დაკავშირებით.

შექმნის პირველი დღეებიდანვე სტავროპოლს მარტო სამხედრო მნიშვნელობა როდი ჰქონდა: ქალაქი დიდსა და ნიადაგ მზარდ როლს ასრულებდა მიმდებარე ველებისა და მთის რაიონების სამეურნეო განვითარებაში, ამ კრაცელი და მდიდარი მხარის კულტურულ გარდაქმნაში. იგი ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ხალხების რუს ხალხთან დაახლოების დიდმნიშვნელოვანი ცენტრი იყო.

1921 წელს ვ. ი. ლენინი კავკასიელი კომუნისტებისადმი წერილში აღნიშნავდა, რომ საჭირო იყო ყოველმხრივ განვითარებინათ დაგვიანული მიწების რწყვა. იგი წერდა: „მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განაპირობებს სოციალიზმზე გადასვლას“ (იხს. კრებ, ტომი 32, გვ. 399-400).

მხოლოდ კოლექტიურ მეურნეობებად გაერთიანებული გლეხთა კომლების საერთო მეცადინეობით, მხარის მთელი მოსახლეობის ყველაზე უშუალო და აქტიური მონაწილეობით შეიძლებოდა განხორციელებულიყო იმ დროისათვის გიგანტური გასარწყვებისა და დარწყვის სამუშაოები. სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობისათვის ჭეშმარიტად ისტორიული საქმე გახდა ნევინომისკის არხის, იმანაგი ერთ-ერთი უდიდესი საირიგაციო ნაგებობის მშენებლობა. მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საირიგაციო ნაგებობათა ფართო

მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა

12 მაისს კრემლის დიდ სასახლეში ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა.

კომისიებმა განიხილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დასკვნისათვის გადმოცემული კონვენცია გარემო ბუნებაზე ზემოქმედების საშუალებების სამხედრო ან ნებისმიერი სხვა მტრული მიზნით გამოყენების აკრძალვის შესახებ, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით ხელმოწერილ იქნა ქენევაში 1977 წლის 18 მარტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიების მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. ბოლიუული.

საბჭოთა მთავრობის სახელით სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გ. მ. კორნიენკო.

კამათში გამოსულმა დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ კონვენცია ახალ მიმართულებას სახავს განიარაღებისა და კაცობრობისადმი ახალი პოტენციური საფრთხის თავიდან აცილების გზაზე. დეპუტატებმა კომისიათა წევრებს მიუწოდეს ურჩიონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს რატიფიკაცია უყოს ამ კონვენციას.

შემდეგ გამოვიდა კომისიის თავმჯდომარე ბ. ნ. პონომარიოვი. სსრ კავშირის ინიციატივით დადებული კონვენციის მნიშვნელობის სწორი და სრული შეფასებისათვის. თქვა მან, საჭიროა განვიხილოთ, თუ რა კავშირშია იგი იმ თანამიმდევრულ და მრავალმხრივ ღონისძიებათა მთელ კომპლექსთან, რომელსაც საბჭოთა კავშირი აწორციელებს გამლებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის. მისი ძალამოსილად გამოცხადება კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება მშვიდობის პროგრამის რეალიზაციის გზაზე, რომელიც ჩამოყალიბებულია სკკპ XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებებში. საგარეო საქმეთა კომისიების წევრთა გამოსვლებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს, რომ საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი მეთაურის — გამოჩენილი მშვიდობის მებრძოლის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობას, რომლის მიზანია ამ პროგრამის განხორციელება, დაძაბულობის შენელების დამკვიდრება და ომის თავიდან აცილება, გამლებული შეიარაღების შეწყვეტა.

საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა მიზნად ისახავს გადაკეტოს გამლებული შეიარაღების ყველა არხი, ე. ი. ერთი მხრივ, შეწყვეტოს უკვე არსებულ სახეობათა შეიარაღების დაგროვება, შემდეგ გადავიდეს. მის შემცირებაზე და, მეორე მხრივ, — აღკვეთოს ახალ, ჯერ კიდევ გამოუგონებელ სახეობათა შექმნა. ამიტომ საბჭოთა კავშირი სხვა მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად აქტიურად იღვწის, რათა არ დაუშვას ახალი, მასობრივი ჟლეტის განსაკუთრებით ანტიჰუმანური საშუალების — ნეიტრონული იარაღის შექმნა. სწორედ ამიტომ გამოიჩინა საბჭოთა კავშირმა ინიციატივა დაიღოს საერთაშორისო შეთანხმება გარემო ბუნებაზე სამხედრო ან სხვა მტრული მიზნით ზემოქმედების აკრძალვის შესახებ, რომელიც გამლებული შეიარაღების შეწყვეტისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვან ელემენტად მიაჩნია.

გარემო ბუნებაზე ზემოქმედების საშუალებათა სამხედრო ან ნებისმიერი სხვა მტრული მიზნით გამოყენების აკრძალვის კონვენციის გაწნილვამ ცხადყო, რომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის საგარეო საქმეთა კომისიების აზრით, მისი რატიფიკაცია და ძალამოსილად გამოცხადება საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება.

მინდა გამოვთქვა იმედი, თქვა დასასრულ ბ. ნ. პონომარიოვმა, რომ უახლოეს ხანებში კონვენციას დაამტკიცებენ სხვა ქვეყნების პარლამენტები, რომ მის რატიფიკაციას არ დააყოვნებს არც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა განხილვის შემდეგ გაერთიანებულ სხდომაზე ერთსულოვნად მოიწონეს კონვენცია გარემო ბუნებაზე ზემოქმედების საშუალებების სამხედრო ან ნებისმიერი სხვა მტრული მიზნით გამოყენების აკრძალვის შესახებ. მიღებულ დასკვნაში კომისიებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ურჩიეს რატიფიკაცია უყოს კონვენციას.

(საკდესი).

საერთაშორისო ცხოვრება

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲡ

მსოფლიო იწონებს ვიზიტის შედეგებს

საზღვარგარეთის საზოგადოებრიობა და პრესა კვლავ ფართოდ აშუქებენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის ნაყოფიერ შედეგებს. მახარებელი ინფორმაციის საშუალებანი იუწყებიან, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მთლიანად და სავსებით მოიწონეს ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გაწეული მუშაობა, ამ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ვიზიტის შედეგები, და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მას მოწონებითა და მაღლიერებით შეხვდნენ მთელი მსოფლიოს პროგრესული, მშვიდობისმოყვარე ძალები. წამყვან საგარეოპოლიტიკურ მიმოხილველთა კომენტარში აღნიშნავენ, რომ ვიზიტის შედეგები ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებას ჰელსინკის სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტის შესაბამისად, დაგვეხმარება გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა და საშუალება რათა შეწყდეს გამლებული შეიარაღება და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებანი განიარაღების დარგში კაცობრიობის ინტერესებისათვის.

ჰ. შმიდტის სამთავრობო განცხადება

ბონი, 12 მაისი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰ. შმიდტმა ბუნდესტაგის სხდომაზე გააკეთა სამთავრობო განცხადება, რომელიც მიეძღვნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ოფიციალური ვიზიტის შედეგებს.

როგორც ხაზგასმით აღნიშნა ჰ. შმიდტმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ორივე სახელმწიფოსა და ხალხისათვის, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებისთვისაც. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დროს ხელი მოეწერეთ გულდასმით მომზადებულ ერთობლივ დოკუმენტს, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ვიმსჯელოთ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის ნორმალიზაციის საქმეში მიღწეულ წარმატებებზე.

ერთობლივი დეკლარაცია შეიცავს ორმხრივი ურთიერთობის გრძელვადიანი განვითარების ორიენტირებს. მან ხელი უნდა შეუწყოს ამ ურთიერთობის სტაბილური განვითარებას მომავალშიც.

დეკლარაცია, აღნიშნა შემდეგ ჰ. შმიდტმა, არ მალავს, რომ ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში არის ანსხვავებანი და შეზღუდვები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა ვიზიტს „სსარგებლო, შინაარსიანი და საქმიო“ უწოდა. მე საკუთარი ვიზიტიც ამ შეფასებას. ნდობის ვითარებაში მიმდინარე ჩვენი გულახდილი საუბრები ორმხრივი ურთიერთობისა და საერთაშორისო მოვლენების შესახებ წარმატებად ჩვენს ურთიერთობაში, რომელიც ჯერ კიდევ 10 წლის წინ შეუძლებელი ჩანდა, თქვა კანცლერმა. ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგში წარმოდგენილი ოთხი პარტიის თავმჯდომარეებს. მე დიდნიშვნელოვნად მიმაჩნია და ვიწონებ, თქვა ამასთან დაკავშირებით ჰ. შმიდტმა, რომ ჩვენი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან არ იზღუდება მარტოოდენ მთავრობათა კონტაქტებით.

საუბრებმა და მოლაპარაკებამ თვალსაჩინოდ დაადასტურეს, რომ გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი პირადად გარემოებათა მონაწილეობს დაძაბულობის შენელების პოლიტიკაში და, რომ საბჭოთა კავშირი ისწრაფვის განიარაღოს ეს პოლიტიკა, ხაზი გაუსვა ჰ. შმიდტმა.

ეს, კერძოდ, გამოიხატა იმითაც, რომ ორივე მხარემ კვლავ განაცხადა, რომ ესწრაფვის ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტის ყველა დებულების სრულ განხორციელებას. ჩვენ დავთქვით, რომ იმ პროცესის განვითარებასა, რომელსაც დასაბამი მისცა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირმა, ჩვენ არ უნდა დავუშვათ ჰელსინკის თათბირამდე არსებული ვითარების განმეორება.

შეეხო რა მოლაპარაკების დროს განხილულ განიარაღებისა და შეიარაღების შეზღუდვის პრობლემებს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა გამოთქვა იმედი, რომ ეს საუბრები ხანგრძლივ მასტიმულირებელ გავლენას მოახდენენ განიარაღებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო მოლაპარაკებაზე.

დასავლეთ ბერლინის საკითხის თაობაზე ჰ. შმიდტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკა „პირველ ადგილზე ადამიანებისადმი ზრუნვაა“. ჩვენ გვინდა, თქვა მან, შევინარჩუნოთ და უფრო სტაბილური გავხადოთ ეს მდგომარეობა.

ჰ. შმიდტმა თქვა, რომ უნდა უკუვაგდოთ წარმოდგენა, თითქოს დასავლეთ ევროპის უშიშროებისა და სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცება შეიძლებოდეს წმინდა დემონსტრაციული მოქმედებით, რომელიც არსებითად არავისთვის არ მოუტანია რეალური სარგებლობა. მან ხაზი გაუსვა, რომ ამ საკითხში პასუხსაგები პოლიტიკის „ორიენტირი უნდა იყოს ოთხმხრივი შეთანხმებიდან გამომდინარე შესაძლებლობანი და საზღვრები“.

თავის განცხადებაში ჰ. შმიდტმა ხაზგასმით გაუსვა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის გარკვეული წრეების ცნობილი კონცეფცია ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხში.

შემდეგ ჰ. შმიდტმა თქვა, რომ ამ მოლაპარაკებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობას და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის ეკონომიკას, თქვა კანცლერმა, შეუძლიათ უფრო სასარგებლოდ შეავსონ ერმანეთი. ორივე სახელმწიფო განვითარების მაღალ საფეხურზეა. მაგრამ საბჭოთა კავშირს აქვს ენერგეტიკული და ნედლეული რესურსები, რომლებიც ჩვენ არ გაგვაჩნია. ჩვენ ამასთანავე შეგვიძლია ბევრ დარგში შევთავაზოთ განსაკუთრებით ეფექტიანი ტექნოლოგია. ამ და სხვა საკითხებში გამოირკვა, რომ შეგვიძლია შევთანხმოთ ორმხრივი ინტერესები. ჩვენს მიერ დადებული გრძელვადიანი ეკონომიკური შეთანხმება მოწმობს ორივე მხარის მზადყოფნას ანგარიში გაუწიონ ერთმანეთის ინტერესებს.

ეს შეთანხმება შორს სცდება ეკონომიკის საკითხთა ფარგლებს. მასში მოცემულია საერთოდ პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ხანგრძლივი მშვიდობიანი განვითარების ორიენტირი.

კანცლერმა მხარი დაუჭირა იმას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და სსრ კავშირი „გაგებით ეკიდებიდნენ ერთმანეთს — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყველა იმ დიდი განსხვავებისა და იდეოლოგიაში არსებული ამ განსხვავების მიუხედავად, რომლებსაც ჩვენ არ ვაკნინებთ“. როგორც მან აღნიშნა, მხარეებს მიერ ხელმოწერილი ერთობლივი დეკლარაცია ნიშნავს, რომ ორივე მხარე ესწრაფვის გაღრმავებულ და ხანგრძლივ დაძაბულობის შენელებას, იმ პროცესის დინამიკურ განგრძობას, რომელსაც დასაბამი მისცა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირმა. შეიარაღების დარგში დაახლოებითი თანასწორობისა და პარიტეტის პრინციპის დაცვას, კარგ კეთილმეზობლურ ურთიერთობას და მხარე თანამშრომლობას მომავალი თაობებისთვისაც, დიდი ხნით გამიზნულ ეკონომიკურ თანამშრომლობას, დაბოლოს, უკეთესი ურთიერთგაგებისა და მეტი ნდობის მიღწევას.

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲕᲘᲔᲜᲜᲐᲜᲘ, 12 მაისი. (საკდესი). დიდი ინტერესით შეხვდა ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წიგნს „მცირე მიწა“.

ეს წიგნი შესანიშნავი, შთაგონებული ნამამობია საბჭოთა ხალხის დიადი გმირობის შესახებ, რომელმაც გადამწყვეტი წვლილი შეიტანა ფაშიზმისაგან მსოფლიოს განთავისუფლებაში. მისი ფურცლები უდიდეს, დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენენ, განაცხადა ლაოსის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა სუკ ვონგსაკმა.

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲤᲐᲜᲓᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 13 მაისი. (საკდესი). უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა, რომ შეერთებულ შტატებში პრეზიდენტ ჯ. კენედის მკვლელობის გარემოებათა ახალ-ახალი ვერსიები ჩნდება. მთელი

როცა ლ. ი. ბრეჟნევის „აღორძინებას“ ვკითხულობთ

სიკეთის წყარო

ხშირად ამბობენ, ყველა წიგნს თავისი მკითხველი ჰყავსო. მაგრამ ლენინი ილიას ძე ბრეჟნევის წიგნი „აღორძინება“ იმვითაი გამონაკლისია — დღეს მას ყველა დიდი ინტერესით კითხულობს. ინტერესს აძლიერებს ადამიანებისადმი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკის მეტად თბილი დამოკიდებულება, სიყვარული, რწმენა მათდამი, მათ ღირსებათა დაფასება, მათი ბედნიერებისათვის ბრძოლაში თეთრად გათენებული ღამეების წილად შესრულებული მოვალეობის გრძნობა.

ბუნებრივია, დღეს ყველა ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკს, ვისაც საქმე ჰქონდა ან აქვს ადამიანთა მასის კოლექტივად გადაქცევასთან, „აღორძინების“ პირველი სტრიქონებიდანვე იპყრობს პასუხისმგებლობის გრძნობა — გაიაზროს განვლილი და განცდილი, შეაფასოს, შეადაროს ცოცხალი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დიდ მაგალითს საკუთარი პრაქტიკა. ამასთან მათ პასუხისმგებლობას აძლიერებს ისიც, რომ კომუნისტებს, მასებს უკვე აქვთ იმის უტყუარი საშუალება, შეხედონ თავიანთი ხელმძღვანელების საქმიანობას ამ დიდი მაგალითის მეხედვით. ამიტომაც ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებანი „აღორძინება“ დღეს თითოეული პარტიული მუშაკის სამაგიერო წიგნი გახდა. მას ღრმად სწავლობენ და განმარტავენ ჩვენს რაიონშიც. 600-მდე აგიტატორი, პოლიტინფორმატორი და ლექტორი „აღორძინების“ მიხედვით აწყობს საუბრებს, სოფლად ეწყობა კითხვა-პასუხების საღამოები...

კითხულობ ამ წიგნის ძვირფას სტრიქონებს და უფრო მეტად რწმენდები, რომ პარტიული მუშაობა **მეცნიერებაც არის და ხელოვნებაც.** ადამიანთა კოლექტივის ხელმძღვანელობა, თითოეული ადამიანის ფსიქოლოგიური გაანალიზება მონახვა, რომ მათ გაუგო, შენც გაგიგონ — აღვილი საქმე როდია. წიგნის დასაწყისშიკი ნათლად ეხედავთ, რომ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკის ყოველდღიურობა იწყება ადამიანებთან ცოცხალი ურთიერთობით, ხოლო პრობლემების რიგითობა დგინდება. და შეუმცდარად წყდება ისევ და ისევ ადამიანების მეშვეობით.

პარტიული მუშაკებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თეზისს: **„პარტიული კომიტეტის მდივანი — ეს უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური ხელმძღვანელია, ხოლო თითოეული კომუნისტი — პოლიტიკური მებრძოლი“.** და მკითხველი წიგნში ხედავს ამ დებულების ლოგიკურ განვითარებას, როცა საქმე ეხება მტკიცე კლასობრივი პოზიციებიდან ადამიანის აღზრდას, პარტიული მუშაკის მხრივ შექმნილი ვითარების პოლიტიკურ ანალიზს, თუ როგორ იმართება დასახული მიზნის მისაღწევად თვიდან თვემდე მუშაობაში პოლიტიკური ხაზი, როგორ მტკიცდება პარტიული დისციპლინა. ამავე დროს წიგნში არის სერიოზული გაფრთხილება, რომ არასოდეს ისე არ გავეტიაცოს სამეურნეო მუშაობამ, რომ დაიწყო ბუქსობა პარტიულ მუშაობაში.

უფროსმა თაობამ კარგად იცის, თუ რა ძნელი იყო სამამულო ომის შედეგად დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა. და ეს სიძნელე, მისი დაძლევის რეალური სურათი „აღორძინებაში“ დანახულია ხელმძღვანელი პარტიული მუშაკის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ფონზე. აქაც თითქოს ისეთივე ფიცხელი ბრძოლაა, როგორც „მცირე მიწაზე“. ახლა თაობისაგან ჩვენი სოფლებისა და ქალაქების განთავისუფლებით გამოწვეული დიდ სიხარულს უჩოლდება ქარხნების, სკოლების, საავადმყოფოების, კულტურის სახლების აღდგენა, პურის უხვი მოსავლის მიღება... აქ ამბის უბრალო თხრობა როდია, არამედ მოცემულია სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესანიშნავი გამოცდილება. ეს არის თხრობა „მიწასთან გასწორებული ქარხნების აღდგენის მეცნიერებაზე“. აქ ლაპარაკია გეგმიანობისა და კონტროლის, ზუსტი ინფორმაციის ოპერატიულობის, საგიგანტო მუშაობაში კონკრეტულობის, ნოვატორობისადმი მხარდაჭერის, ადამიანებისადმი ზრუნვისათვის პოლიტიკური უკუგების, კადრების შერჩევის, დაკალებების სწორად განაწილების, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე კონტროლის, „საკვებიო“ სწავლოდ სწავლოებ და განმარტავენ ჩვენს რაიონშიც. 600-მდე აგიტატორი, პოლიტინფორმატორი და ლექტორი „აღორძინების“ მიხედვით აწყობს საუბრებს, სოფლად ეწყობა კითხვა-პასუხების საღამოები...

კითხულობ ამ წიგნის ძვირფას სტრიქონებს და უფრო მეტად რწმენდები, რომ პარტიული მუშაობა **მეცნიერებაც არის და ხელოვნებაც.** ადამიანთა კოლექტივის ხელმძღვანელობა, თითოეული ადამიანის ფსიქოლოგიური გაანალიზება მონახვა, რომ მათ გაუგო, შენც გაგიგონ — აღვილი საქმე როდია. წიგნის დასაწყისშიკი ნათლად ეხედავთ, რომ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკის ყოველდღიურობა იწყება ადამიანებთან ცოცხალი ურთიერთობით, ხოლო პრობლემების რიგითობა დგინდება. და შეუმცდარად წყდება ისევ და ისევ ადამიანების მეშვეობით.

პარტიული მუშაკებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თეზისს: **„პარტიული კომიტეტის მდივანი — ეს უწინარეს ყოველისა, პოლიტიკური ხელმძღვანელია, ხოლო თითოეული კომუნისტი — პოლიტიკური მებრძოლი“.** და მკითხველი წიგნში ხედავს ამ დებულების ლოგიკურ განვითარებას, როცა საქმე ეხება მტკიცე კლასობრივი პოზიციებიდან ადამინის აღზრდას, პარტიული მუშაკის მხრივ შექმნილი ვითარების პოლიტიკურ ანალიზს, თუ როგორ იმართება დასახული მიზნის მისაღწევად თვიდან თვემდე მუშაობაში პოლიტიკური ხაზი, როგორ მტკიცდება პარტიული დისციპლინა. ამავე დროს წიგნში არის სერიოზული გაფრთხილება, რომ არასოდეს ისე არ გავეტიაცოს სამეურნეო მუშაობამ, რომ დაიწყო ბუქსობა პარტიულ მუშაობაში.

ხალხის გულისთქმა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი)

ჩვენი ფიქრები, აზრები საქართველოს ახალ კონსტიტუციაზე

გაზეთ „სოვეტ გიურჯისტანის“ თითქმის ყოველი ნომერი მოუთხრობს თავის მკითხველებს იმ პატრიოტული შემართების შესახებ, რომელსაც საქართველოს მშრომელები უცავშირებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII და IX პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულების ათვის ბრძოლას, მთელი გულითა და სულით იწონებენ ახალი კონსტიტუციის თითოეულ სიტყვას, დებულებას და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რა უდიდეს ზრუნვას იჩენენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო და რესპუბლიკის მთავრობა მშრომელი ადამიანის კეთილდღეობისათვის.

რედაქციაში შემოსულ წერილებსა და დეპეშებში, კერძოდ დმანისის რაიონის მშრომელები მადლიერებისა და აღტაცების გრძნობებს გამოთქვამენ ჩვენი პარტიისა და მთავრობის იმ გულითადი დახმარებისა და ყურადღებისათვის, რომელიც მათ გასული წლის დამლევს სტიქიური უბედურების მძიმე დღეებში გამოიჩინეს. ეს დახმარება განუხრელად იზრდება და ფართოვდება.

შრომის ვეტერანი, მუშა, სკკპ წევრი 1939 წლიდან მ. ყურბანოვი გვწერს: „სიტყვით ვერ გამომითქვამს მადლიერების გრძნობები მიწისძვრის დღეებში უანგარო დახმარების გამო. პროდუქტებით, მოწყობილობით, საშენი მასალებით, სათბობით დატვირთული ავტომანქანების კოლონები, ვაგონები მოდიოდა დმანისის მისამართით. ახლა კი, როცა მთელი რაიონი დიდ სამშენებლო მოედანს დაემსგავსა, ჩვენს აღტაცებასა და მადლიერებას საზღვარი ჯრა აქვს. კვლავ გვეხმარება და მხარს გვიჭერს მთელი რესპუბლიკა. ამ დღეებში ქუთაისიდან გვეწვივნენ ძმები შოთა, ოთარ და გიორგი კაკაბაძეები — ექიმი, იურისტი და ინჟინერი. რაღა გვეთქმის! ერთი სიტყვით, ყოველ საათს ახალი სასიხარულო ამბები ხდება. ყველას ვერ ჩამოვთვლი. საინტერესოა, არის კიდევ სადმე დედამიწაზე ისეთი ერთობა, მეგობრობა, ძმობა და ზრუნვა, როგორც ჩვენს ქვეყანაში?!“.

ყველაფერი ნათლად არის ნათქვამი და კომენტარიც ზედმეტია.

საქართველო მრავალეროვანი რესპუბლიკაა. აქ 60-ზე მეტი ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ. მათ შორის ცხოვრობენ და შრომობენ აზერბაიჯანელები. ჩვენ ვხედავთ, როგორ ზრუნავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა, მათ შორის აზერბაიჯანელთა კულტურის, განათლებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით მიზანმიმართულად მიმდინარეობს მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა. მარტო საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით ნაყოფიერად მუშაობს ამ ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე შექმნილი 50-ზე მეტი ინტერნაციონალური აღზრდის სახალხო უნივერსიტეტი. უფრო მეტი შემოქმედებითი შესაძლებლობანი შეექმნა ყველა ერსა და ეროვნებას, რომლებსაც მშობლიური ენაზე აქვთ პრესა, რადიო, სასწავლებლები და სხვ. 90 ათასამდე აზერბაიჯანელ მოსწავლეს ასწავლის 5 ათასზე მეტი მასწავლებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში მშობლიურ ენაზე. ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებობს აზერბაიჯანული ფაკულტეტი. რესპუბლიკაში აზერბაიჯანულ ენაზე გამოდის გაზეთები, ბროშურები, ეწყობა რადიოგადაცემები, ვითარდება მხატვრული თვითმოქმედება. პოლიტგანათლების სისტემაში უკვე მეორე წელია ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი სემინარი პროპაგანდისტებისათვის, რომლებიც მეცადინეობას აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ატარებენ.

აზერბაიჯანულ ენაზე ითარგმნებოდა ქართველი პოეტებისა და მწერლების საუკეთესო ნიმუშები, ლიტერატურული და ისტორიული გამოკვლევანი. ითარგმნა საქართველოს ისტორია და შედგენილია ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი (12 ათასი სიტყვა), ამ საქმეში დაგვეხმარნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, გამომცემლობა „განათლება“ და სხვა ორგანიზაციები. ასევე რესპუბლიკის მწერალთა კავშირის ზრუნვის წყალობით გამოსაცემად მომზადებულია ალმანახი, რომელშიც შეტანილია ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები აზერბაიჯანელი პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებები. ეს ზოგვინმეს, ერთი შეხედვით, შეიძლება უმნიშვნელო ფაქტად მოეჩვენოს. მაგრამ ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი ღირსეულად დააფასებს ამას, რადგან დაინახავს, რომ ეს არის ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპების ხორცშესხმა.

ახლა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა დარგში, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, სამეურნეო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში შრომობენ აზერბაიჯანელები — მეცნიერები, დამსახურებული მასწავლებლები, კულტურის დამსახურებული მუშაკები, სოციალისტური შრომის გმირები, ინჟინრები, ექიმები, წარმოების მოწინავეები და ვეტერანები, რეოლუციამდე კი საქართველოში არ იყო არც ერთი უმაღლესი განათლების მქონე აზერბაიჯანელი სპეციალისტი.

ჩვენ, პარტიულ ჟურნალისტებს, არ გვავიწყდება ვ. ი. ლენინის ბრძნული მითითება, რომ გაზეთი, რომელიც ჩამორჩება, განწირულია დასაღუპავად. გაზეთი წინ უნდა მიუძღოდეს ყველას. ამიტომაც ჩვენ ყოველნაირად სრულყოფთ საგაზეთო მასალების ენას, სტილს, მხატვრულ საშუალებებს და კვლავაც გულმოდგინედ ვიმუშავებთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ღრმად, გასაგებად განვუმარტოთ ჩვენს მკითხველებს ახალი კონსტიტუციის თითოეული მუხლის შინაარსი.

ს. სულეიმანოვი,
გაზეთ „სოვეტ გიურჯისტანის“ რედაქტორი.



ხარისხის ნიშანი

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაური ხაწარმოს მარკიან ქსოვილებზე დიდი მოთხოვნაა საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქსა და სოფელში. ისინი გამოირჩევა ხარისხით, სახიამოვნო ფერით, ორიგინალური ნახატით.

საწარმოს მიერ გამოშვებულ ექვსი სახეობის აბრეშუმის ქსოვილს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა.

სურათზე: თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს შესაფუთი საამქროს კონტროლიორი თამარ ჭეონია ამოწმებს ხაპატიო ხუთკუთხედიანი ქსოვილების ხარისხს.

ვ. მირზუნოვის ფოტო. (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ილია ჭავჭავაძის დაბადების 140 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ერევანში

ქართველი ხალხის გენიალური შვილის, დიდი მწერლისა და მოქალაქის ილია ჭავჭავაძის სახელი ძვეიდა მსოფლიო ლიტერატურის კორიფეთა თანავარსკვლავედში. მშობელი ადამიანისადმი დიდი სიყვაოულითა და ჰუმანიზმით გამსჭვალული მისი ნაწარმოებები ხალხს ძოუწოდებს ექსპლოატატორთა წინააღდეგ ბრძოლისათვის.

ჭავჭავაძის ნაწარმოებები თავიათი ზოგადსაკაცობრიო იდეალებით ახლობელი და გასაგები იყო სომეხი ხალხისათვის, ოომელსაც უყვარდა მოძმე ხალხის დიდი ძველი და პატივსა სცემდა ძს.

ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის დაბადების 140 წლისთავს ძეიძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც 11 ძაისს გაიმართა, გაბრიელ სუნდუკიანის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

აქ შეიკრიბნენ სომეთის დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, კულტურის მოღვაწენი, სტუდენტები.

სცენის სიღრმეში მოჩანს ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის პორტრეტი და ციფრი „140“.

სხდომაში მონაწილეობს მოძმე საქართველოს დელეგაცია — საქართველოს სსრ ძინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია,** საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი **გ. აბაშიძე,** ლიტერატორები **ბ. არველაძე, ო. ოოდია. ბ. ხეირანიანი.**

საზეიმო სხდომა გახსნა სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **რ. სვეტლოვამ.**

სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს მწერალ **მ. სარქისიანს.**

მდიდარ და ძველ ქართულ ლიტერატურაში, თქვა მან, ილია ჭავჭავაძეს განსაკუთრებული ადგილი უკავია, იგი იყო პოეტი და პროზაიკოსი, დრამატურგი და პუბლიცისტი, მეცნიერი და საზოგადო ძოღვაწე, უნიჭიერესი ადამიანი, რომელიც სამართლიანად გახდა თავისი ეპოქის ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების თავკაცი.

ილია ჭავჭავაძე გამოხატავდა ქართული საზოგადოების ძოწინავე ფენების გამოღვიძებულ ეროვნულ **შეგნებას, იყო ბატონყმური წყობილებისა** და იეროკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური მონაწილე, მუდამ ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური მოძრაობის მოწინავე ხაზზე იდგა. აკაკი წერეთელთან ერთად მან საფუძველი ჩაუყარა ახალ ლიტერატურულ ქართულ ენას, უდიდესი გავლენა მოახდინა მთელ მის შემდგომ განვითარებაზე. მეფის თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგე, საქართველოს ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძოაობის გამოჩენილი წარმომადგენელი ილია ჭავჭავაძე მუდამ მეფის საიდუმლო პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, რომელიც მისი მოკვლის გეგმებს იდგენდა. ეს ჩანაფიქრი განახორციელეს კიდეც 1907 წლის 30 აგვისტოს, როცა დიდი პოეტი წიწამურში მოკლეს.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებათა მეტი ხაწილი ასახავს ბატონყმობის უღელქვეშ მგმინავი გლეხების სოციალურ მდგომარეობას, გვიხატავს ამ წყობილების ლიკვიდაციის სურათს. მწერალს აინტერესებდა არა ფეოდალური **ისტორიატი** ცხოვრება და ახლად ფეხადგმულ ბურჟუაზიასთან კონფლიქტის პრობლემები, არამედ მემამულეთა და ყმათა ურთიერთობა. იგი საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობდა კლასობრივ წინააღმდეგობას.

თბილისში რუსთაველის პროსპექტზე აღმართულია ძეგლი, რომელიც მუდამ ყვავილებით არის შემკული. ქვარცხლბეკზე დგანან ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი — XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსები, საქართველოს დიდებ. და ისინი მუდამ იცოცხლებენ ხალხის გულში იმიტომ, რომ ისინი ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ ქართველი ხალხისათვის, მათი სახელები განასახიერებენ ხალხის მისწრაფებებს, მის ბრძოლასა და თავისუფლებისმოყვარეობას. დღესაც ათი ნაწარმოებები გახუყრელია ხალხთან, მისი სულიერი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

საზეიმო კრებაზე გამოვიდა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია.**

ჩვენს ქვეყანაში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა, — თქვა მან, — მოძმე ხალხების დიდი შვილების ღირსშესანიშნავი თარიღების საზეიმო აღნიშვნა. ეს ტრადიცია ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელობის ერთ-ერთი შესანიშნავი გამოხატულება, საბჭოთა კავშირის თითოეული ხალხის სულიერი ღირებულებებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის გამოვლინებაა. ამ ტრადიციის ცხოველმყოფელობის ერთ-ერთი დადასტურებაა ის, რომ დღეს ერევანში — საბჭოთა სომხეთის დედაქალაქში აღინიშნება დიდი ქართველი მწერლის, გამოჩენილი რევოლუციურ-დემოკრატის ილია ჭავჭავაძის დაბადების 140 წლისთავი.

ჩვენ გვახსოვს, თუ როგორ აღინიშნა მარშან საქართველოში მოძმე სომეხი ხალხის დიდი მწერლების დერენიც დემირჭიანის დაბადების მე-100 წლისთავი და ეღიშე ჩარენცის დაბადების მე-80 წლისთავი. როგორ ვიზეიმეთ თქვენთან ერთად სხვა იუბილეებიც — ოვანეს თუმანიანის, გაბრიელ სუნდუკიანისა და ავეტიქ ისაკიანის იუბილეები. იმ დღეებში ვიხსენებდით ადამიანებს, რომელთა შემოქმედება ცოცხლობს სომეხებისა და ქართველებისათვის, მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხისათვის, ერთად ვაზრები და ფიქრები მემკვიდრეობად დაგვრჩა და გვეხმარებიან ჩვენი მომავლის მშენებლობაში.

ლიტერატურაში ქართული კრიტიკული რეალიზმის დამფუძნებელი ილია ჭავჭავაძე ამავე დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეც იყო. აღიზარდა რა სამოციანი წლების რევოლუციური დემოკრატიული ლიტერატურის გავლენით, ილია ჭავჭავაძე იყო თვითმპყრობელობისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი. მთელ მის შემოქმედებას. მის ყველა საუკეთესო ნაწარმოებს საფუძვლად უდევს ცარიზმის ძარევ ჩაგვრისა და ფეოდალურ-კაპიტალისტური მონობისაგან მშობლიური ქვეყნის განთავისუფლების იდეები.

XIX საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ილია ჭავჭავაძეს განსაკუთრებული ადგილი უკავია. თავისი დროის საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში იგი ცენტრალური ფიგურაა. მთელი თავისი ტიტანური ენერგია, თავისი საოცარი მრავალმხრივი ნიჭი მან მოახმარა მშობლიურ ხალხს, ჰუმანიზმისა და პროგრესის იდეების სამსახურს. ისტორიული ეპოქა, რომელშიც მოღვაწეობდა ილია ჭავჭავაძე, მისგან მოითხოვდა, რომ იგი ყოფილიყო პოეტიც, ბელეტრისტიც, ისტორიკოსიც, ეკონომისტიც, ფინანსისტიც და ჟურნალისტიც...

ილია ჭავჭავაძე, რომელიც ერთგულად იცავდა ჩაგრულ გლეხობას, თავის პუბლიცისტურ სტატიებში გამანადგურებლად აკრიტიკებს კაპიტალიზმს, ოცნებობს იმ დღეზე, როცა ბოლო მოეღებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, როცა გაიმარჯვებდა „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“.

ილია ჭავჭავაძე, რომელიც თავისი სამშობლოს უსაზღვრო პატრიოტი იყო, დიდ პატივს სცემდა მოძმე ხალხების ეროვნულ ღირსებას, ისტორიასა და ლიტერატურას. თავისი მრავალი წლის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის განმავლობაში მას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ საჭიროა სომხებისა და ქართველების მჭიდრო კავშირი.

ილია ჭავჭავაძის პატრიოტიზმი განუყრელად იყო დაკავშირებული ხალხთა ძმობის იდეასთან. ამ საქმეშიც იგი მოწინავე პოზიციებზე იდგა, თავისი სამშობლოს განთავისუფლებას უკავშირებდა მოძმე ერების განთავისუფლების საქმეს. ამ ძმობის, ამ ერთიანობის გამოხატულება იყო დიდი სომეხი მწერლის ოვანეს თუმანიანის სიტყვები, რომლებიც კავკასიის ხალხებს ანდერძივით დაუტოვა: „მთელი ძალ-ღონე იმას უნდა მოვანდოთ, რომ კავკასიაში მცხოვრები ხალხები, განსაკუთრებით ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები ძმურად ცხოვრობდნენ“.

ხალხთა ძმობა და მეგობრობა დიდი ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია, თქვა ორატორმა. ეს არის ის, რაზეც ოცნებობდნენ და რასაც თავიანთი საუკეთესო ნაწარმოებები მიუძღვნეს პუშკინმა და შევჩენკომ, მირზა ფათალი ახუნდოვმა, ხაჩატურ აბოვიანმა და ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და ოვანეს თუმანიანმა. ჩვენს დროში შეესხა ხორცი ოცნებას, რომელთაც გამსჭვალულია მათი მგზნებარე შემოქმედება.

სხდომაზე გამოსულმა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, სომხეთის სსრ და საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ **გ. სევაკმა,** პოეტმა **ვ. დავთიანმა,** ერევნის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა **ა. მუსაელიანმა** თქვეს, რომ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ილია ჭავჭავაძემ მიუძღვნა ბრძოლას ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, იყო ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მგზნებარე დამცველი. რევოლუციური რაზნორნინელი ინტელიგენციის შემოქმედების გავლენით მან წარსული დიდებისათვის დატირების პოზიციას დაუპირისპირა ხალხის მომავლისათვის ბრძოლის ლირიკა, მომავლის ლირიკა. კავკასიის დიდი მოქალაქის ეს პოეზია უსაზღვროდ ახლობელია სომეხი ხალხისათვის, რომელიც, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძე, თავის ხსნას რუს ხალხთან მეგობრობაში ხედავდა.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **კ. დემირჩიანი,** სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. სარქისიანი,** რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

დასასრულ გაიმართა სომხეთისა და საქართველოს ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი (საინფორმის კორ.).

XI ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲔᲑᲘ

ერევანი, 12 მაისი. (საკადესის კორ.). აქ ერთ კვირას მიმდინარეობდა საბჭოთა კინოხელოვნების მიღწევათა დათვალიერება, **რომელიც დღეს დამთავრდა პრიზების გადაცემით. ფესტივალის საპატიო ჯილდოებით აღინიშნა ფილმები, რომლებიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელს შეიქმნა და ასახავს ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს გმირულ ისტორიას, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ხალხის აღმშენებლობითს შრომას.**

— ფესტივალის ეკრანმა ცხადყო ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კინოოსტატთა იდეური სიმწიფე და გაბრდილი პროფესიონალიზმი, — თქვა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სოციალისტური შრომის გმირმა კინორეჟისორმა ა. ვ. ზარხი. — კერძოდ, გაგვახარეს ესტონელმა ოსტატებმა, რომლებმაც შექმნეს ფილმი **„მკვდრებს ჰკითხე, რად უღირდათ სიკვდილი“** (რეჟისორი — კ. კიისკი), და ეკრანზე გააცოცხლეს სახალხო ხელისუფლებისათვის უდრეკ მებრძოლთა სახე. ეს სურათი, რომელიც ხელოვნებაში ეროვნულ ტრადიციებს ავითარებს, უდავოდ გაამდიდრებს ჩვენს მრავალეროვნულ კულტურას.

თავისებური და შინაგანი მგზნებარებით არის აღსავსე ფილმი **„ნაჰაპეტი“** (რეჟისორი — გ. მალიანი) — რთული ეპიკური სურათი, რომელიც ასახავს სომეხი ხალხის მშვენიერ ბედს დიდი ოქტომბრის შემდეგ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართველ კინოოსტატთა ბრწყინვალე ფილმი **„სამანიშვილის დედინაცვალი“** (რეჟისორი — ე. შენგელაია), რომელშიც ეერთმანეთს ერწყმის იუმორი და სევდა, ყოფითი ჩანახატები და ფილოსოფიური მსჯელობა ცხოვრებაზე, კომედიურობა და მოვლენების ასახვის სინამდვილე. დაბოლოს, ახალგაზრდა რეჟისორისა და მსახიობის ნ. გუბენკოს („ზოსფელმი“) ფილმი **„ნატუვიარნი“,** რომელიც ეფეკტურად და ამასთანავე ლირიკულად ასახავს ახალგაზრდა თაობის შეხედულებას ომზე. ამ ნაწარმოებმა უკვე მიიღო საბჭოთა და საზღვარგარეთელი მაყურებლის მაღალი შეფასება.

ყველა ეს ფილმი ღირსეულად დაჯილდოვდა ფესტივალის მთავარი პრიზებით.

გამარჯვებულთა შორის არის აგრეთვე თანამედროვე თემისადმი მიძღვნილი ლენტი, რომელიც ყირგიზმა ოსტატებმა გადაღეს,— **„ულანი“,** მოსფილმელთა სამხედრო-პატრიოტული ეპოპეა **„ბედი“,** ლენინგრადელთა მწვავე პუბლიცისტური კინოსურათი **„უკუკავშირი“** და საკონკურსო ეკრანის სხვა ნაწარმოებები.

— ფესტივალის დოკუმენტურმა ეკრანმა მაყურებლებს დაუხატა თანამედროვე მშენებლობის, პარტიის XXV ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ხალხის ბრძოლის ფართო პანორამა, — თქვა საკადესის **კორესპონდენტთან** საუბარში ეიერის თაემჯდომარემ, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა ბ. ნ. რიჩკოვმა— რომელ კინოოსტატთა ბრწყინვალე ფილმი **„ნამანშვილის დედინაცვალი“** (რეჟისორი — ე. შენგელაია), რომელშიც ეერთმანეთს ერწყმის იუმორი და სევდა, ყოფითი ჩანახატები და ფილოსოფიური მსჯელობა ცხოვრებაზე, კომედიურობა და მოვლენების ასახვის სინამდვილე. დაბოლოს, ახალგაზრდა რეჟისორისა და მსახიობის ნ. გუბენკოს („ზოსფელმი“) ფილმი **„ნატუვიარნი“,** რომელიც ეფეკტურად და ამასთანავე ლირიკულად ასახავს ახალგაზრდა თაობის შეხედულებას ომზე. ამ ნაწარმოებმა უკვე მიიღო საბჭოთა და საზღვარგარეთელი მაყურებლის მაღალი შეფასება.

ყველა ეს ფილმი ღირსეულად დაჯილდოვდა ფესტივალის მთავარი პრიზებით.

გამარჯვებულთა შორის არის აგრეთვე თანამედროვე თემისადმი მიძღვნილი ლენტი, რომელიც ყირგიზმა ოსტატებმა გადაღეს,— **„ულანი“,** მოსფილმელთა სამხედრო-პატრიოტული ეპოპეა **„ბედი“,** ლენინგრადელთა მწვავე პუბლიცისტური კინოსურათი **„უკუკავშირი“** და საკონკურსო ეკრანის სხვა ნაწარმოებები.

— ფესტივალის დოკუმენტურმა ეკრანმა მაყურებლებს დაუხატა თანამედროვე მშენებლობის, პარტიის XXV ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ხალხის ბრძოლის ფართო პანორამა, — თქვა საკადესის **კორესპონდენტთან** საუბარში ეიერის თაემჯდომარემ, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა ბ. ნ. რიჩკოვმა— ჩვენ პირველი პრიზით ვაჯილდოებთ უკრაინელ კინოპუბლიცისტთა სურათს **„ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისი“,** რომელიც ეძღვნება იმ გმირულ გზას, ლენინის პარტიამ რომ გამოიარა პირველი მარქსისტული წრეებიდან მასიფლიოს პირველი სოციალისტური ქვეყნის მე-60 წლისთავის ზეიმობამდე.

დოკუმენტურ ფილმებს შორის პირველი პრიზი მიენიჭა ასევთანავე მწვავე პუბლიცისტურ ლენტს **„თვინიერი ამერიკელები“** (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია), მეორე პრიზი— ლენინგრადელებს, რომლებმაც შექმნეს თანამედროვე მუშის სახე ეკრანზე ფილმში **„ალექსი ჩიუვის ხომალდები“,** დაჯილდოებულია აგრეთვე სომეხ, ბელორუს, ციმბირელ კინოოსტატთა ნაწარმოებები.

— ბევრი საინტერესო ნამუშევარი წარმოადგინეს სპავშვო და საყმაწვილო კინემატოგრაფიის მუშაკებმა, — თქვა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში ეიერის თავმჯდომარემ ს. სოლოგიომმა,— მთავარი პრიზი მიენიჭა მსახიობს მ. მიკირტიჩიანს, რომელმაც შესანიშნავი სახე შექმნა სომხურ ფილმში **„ჯარისკაცი და სპილო“,** აღინიშნა აგრეთვე კინოდრამატურგ ა. ვოლოდინის შემოქმედებითი შრომა

ბუნების დიდი ქომაგი

აკადემიკოს ვ. გულისაშვილის დაბადების 75-ე წლისთავის გამო

ცნობილ მეცნიერს, ქართული ბუნების დიდ მოჟიერნახულს ბიოლოგთა, მეტყევე-მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მრავალთაობის აღმზრდელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ვასილ ზაქარიას ძე გულისაშვილს დაბადების 75, ხოლო სამეცნიერო პედაგოგიურ და საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან 50 წელი შეუსრულდა.

დიდი შრომითი გზა განვლო გულისაშვილმა, ვიდრე ის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და მოჭალარის ღირსეულ სახელს დამკვიდრებდა თანამეშამულეთა შორის.

სამეცნიერო კვლევითს მუშაობას ვ. გულისაშვილი ჯერ კიდევ სტუდენტობისას ეზიარა. 1927 წელს ჩაირიცხა ასისტენტად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეტყევეობის კათედრაზე, საიდანაც მალე დაუნიშნეს უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1930-1931 წლებში უკვე ლენინგრადის ზოოლოგიისა და ფიტოპათოლოგიის ინსტიტუტის დოცენტი იყო და კვლევებს ატარებდა ლიქენებს.

მშობლიური ბუნებისა და ხალხის სიყვარულმა ახალგაზრდა მეცნიერი 1931 წელს საქართველოში ჩამოიყვანა, იგი იმხანადვე დაინიშნა თბილისის სტუეო ტექნიკური ინსტიტუტის მეტყევეობის კათედრის გამგედ, კითხულობდა ლექციებს ზოგად მეტყევეობაში, ეწეოდა ინტენსიურ მეცნიერულ-კვლევითს მუშაობას. ამ პერიოდს მეკუთვნება მისი მთელი რიგი შრომები მერქნიან მცენარეთა ეკოლოგიის, ბიოლოგიისა და ნიადაგმცოდნეობის დარგში, აგრეთვე პროფ. სტრატანოვიჩთან ერთად ცალკე წიგნად გამოცემული „ტყის ნიადაგების ფიზიკური თვისებები“, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ პრაქტიკულ-თეორიული მნიშვნელობა.

1936 წელს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერმა ვ. გულისაშვილმა ლენინგრადის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა საფოკტორო დისერტაცია.

1935-1945 წლებში ვ. გულისაშვილი მუშაობდა ბოტანიკის ინსტიტუტში მის მიერვე დაარსებულ მცენარეთა ეკოლოგიისა და აკლიმატიზაციის განყოფილების გამგედ. ხოლო 1944-1953 წლებში კი ბოტანიკური ბაღის დირექტორად.

1945 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ვ. გულისაშვილის თაოსნობით შეიქმნა სატყეო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც დაარსებიდან დღემდე თვითონვე უცვლელად ხელმძღვანელობს.

საქართველოში დაბრუნებისთანავე მეცნიერი სათავეში ჩაუდგა სამეცნიერო მუშაობით დაინტერესებულ ახალგაზრდობას და მათთან ერთად მოაწყო სამეცნიერო ექსპედიციები კავკასიის ტყეებისა და სატყეო მეურნეობის მეცნიერული შესწავლის მიზნით.

ამ პერიოდის გამოკვლევები შემდგომში საფუძვლად დაედო მთის ტყეებში მეურნეობის წარმოების პრინციპებს.

ვ. გულისაშვილმა ფართოდ გაშალა მუშაობა კავკასიის ძირითადი ტყის შემქმნელი ჯიშების — წიფლის, ნაძვის, სოჭის, ძირფესვი რელიქტების — ძელქვის, წაბლის, უთხოვარისა და სხვათა ბიოკოლოგიის, გავრცელების არეალის, ზრდა-განვითარების შესასწავლად. მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგები საფუძვლად დაედო 1936 და 1944 წლებში მის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებს მეტყევეობაში.

აღნიშნული სახელმძღვანელოების გამოცემამ ვ. გულისაშვილს დამსახურებული აღიარება მოუტანა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ვ. გულისაშვილის მეცნიერული აზროვნების ფერო მოიცავს მეტყევეობის მომიჯნავე მეცნიერებებს — ბოტანიკის, ფიზიოლოგიისა და ნიადაგმცოდნეობის სხვადასხვა საკითხებს. მისი შრომებიდან განაკუთრებით აღსანიშნავია ოქროსმერქნიან ჯიშთა ზრდის რიტმისა და აკლიმატიზაციის შედეგების განზოგადებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები, რომლებსაც უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს გამეჩხერებულ ლიქორმერებისა და ეროზიერებულ ფერდობების აღდგენა-გამწვანების საქმეში.

აკადემიკოსი ვ. გულისაშვილი 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, 10-ზე მეტი სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიის ავტორია. მისი ბოლო პერიოდის შრომებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კავკასიის ბუნებრივი დარაიონება, ტყეებისა და ნიადაგების ფერტიკალური ზონალობების საკითხები, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო კაპიტალურ ნაშრომს „კავკასიის ბუნებრივი ზონები და ბუნებრივ-ისტორიული ოლქები“. ამავე პერიოდის მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომები „სუბტროპიკული და ზომიერი ჰავის პერიოდის მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომები“, „სუბტროპიკული და ზომიერი ჰავის მერქნიანი მცენარეულობის წარმოშობა და მისი მიმკვიდრეობითი თვისებების თავისებურება“ და „მეცნარეთა ტადიური განვითარების თავისებურებანი მათ წარმოშობასთან დაკავშირებით“ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.

ვ. გულისაშვილის ძირითადი მეცნიერული მიმართულებანი გაერთიანებულია სამთო მეტყევეობის კაპიტალურ სახელმძღვანელოში, რომელიც ითარგმნა და გამოიცა მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე. აკადემიკოსმა ვ. გულისაშვილმა სამთო მეტყევეობაში პირველმა შექმნა ერთადერთი სამთო მეტყევეობის სკოლა, რომელმაც მას, როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ავტორიტეტი მოუპოვა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით წარმატებით მომზადდა და დაცულ იქნა 60-ზე მეტი საკანდიდატო და 10 საფოკტორო დისერტაცია.

ამაგდარი მამულიშვილი სამეცნიერო მუშაობას დღესაც წარმატებით უთავსებს საზოგადოებრივ საქმიანობას. არის მრავალი კომისიის, გამგეობისა და საზოგადოების ხელმძღვანელი, ჟურნალების სარედაქციო კოლეგიათა წევრი.

აკადემიკოსი ვ. გულისაშვილი სატყეო სამეურნეო საკითხებთან დაკავშირებული მრავალი საერთაშორისო სიმპოზიუმისა და კონგრესის მონაწილეა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ აკადემიკოს ვ. გულისაშვილს უმწიკვლო სამსახური ქვეყნისა და ერის წინაშე აღნიშნეს ლენინის ორდენით, ოთხი შრომის წითელი დროშის ორდენითა და მრავალი მედლით.

ამაგდარ მეცნიერს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, კვლავაც ნაყოფიერ შრომას ჩვენი დიდი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

თ. ჩინჩალაძე,
თბილისის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობაში, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;

რ. ჩაგელიშვილი,
ტყის ჰიდროლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

მეოთხეოცე, საიუბილეო

16 მაისს სებერძნეთში აკროპოლის მახლობლად თეატრში საზეიმო ვითარებაში გაიხსნება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საიუბილეო — მე-80 სესია. აქ განიხილავენ თანამედროვე სპორტული მოძრაობის პრობლემებს, დაასახელებენ ქალაქებს, რომლებიც 1984 წელს უმასპინძლებენ ზამთრისა და საზაფხულო ოლიმპიადებს, მოისმენენ მოსკოვის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიშს. სესიის გახსნამდე ათენში გაიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრესის კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა ოლიმპიური ასპარეზობის პრესაში გაშუქების საკითხები.

ჰოკეი

ბოლო ტურის წინ

პრაღაში, ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ოთხეულის ტურნირის მონაწილეებს თითო მატჩი დარჩათ სათამაშო. ბოლოწინა ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა შვეიცარიასთან შეხვედრაში — 7:1, ასპარეზობის ლიდერმა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა კი მეტად ძნელ ბრძოლაში მოუგო კანადის გუნდს — 3:2. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში თავდაპირველად დაწინაურდნენ კანადელები (2:0), მაგრამ ამის შემდეგ მასპინძლებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და გაიმარჯვეს.

ბოლო ტურის წინ ფინალისტთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ჩეხოსლოვაკია	9	9	0	0	53-18	18
სსრ კავშირი	9	8	0	1	58-25	16
კანადა	9	4	0	5	35-34	8
შვეიცარია	9	4	0	5	37-34	8

დღეს ბოლო მატჩები გაიმართება. საბჭოთა ჰოკეისტები ხვდებიან ჩეხოსლოვაკიელებს, კანადელები — შვეიდებს. ნავარაუდევია, რომ ორივე მატჩის არბიტრი იქნება ამერიკელი კენეტ პირსი. ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ კანადელებმა ევროპელ მსაჯებს უნდობლობა გამოუცხადეს.

ხაუკეთესო სნაიპერთა სიაში პირველნი არიან ა. მალცევი (სსრ კავშირი) და ი. გლინკა (ჩეხოსლოვაკია), რომლებმაც 13-13 ქულა დაგროვეს. მალცევს ხუთი გატანილი შაიბა და რვა ზუსტი გადაცემა აქვს, გლინკას — სამი და ათი.

ჰოკეისტთა 1979 წლის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება მოსკოვში (14-27 აპრილს) და ამ ასპარეზობის ორგანიზატორებმა პრაღაში ამასთან დაკავშირებით პრეს-კონფერენცია მოაწყვეს.

კრივი

ორნი — მეოთხედფინალში

ბელგრადში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა ორთაბრძოლები მეოთხედფინალში გასვლისათვის. ორმა საბჭოთა მოკრივემ უკვე შეძლო ამ გზის გაკაფვა. ესენი არიან ვ. სოროკინი (60 კგ-მდე წონა) და ვ. სავჩენკო (71 კგ). პირველმა მეოთხედფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვა რუმინელ ფ. ლივადარუსთან გამარჯვებით, ხოლო მეორემ — უბრძოლველად. საქმე ის არის, რომ უგანდის ნაკრები ვადაზე ადრე გამემგზავრა სამშობლოში და სავჩენკოს სწორედ უგანდელ მოკრივესთან უწევდა შეხვედრა.

უიღბლოდ წარიმართა შ. საბიროვის (48 კგ) ბრძოლა ა. გეკარასთან (ვენესუელა). საბიროვი პირველ რაუნდში ნოკაუტით დამარცხდა. იგი მესამე მოკრივეი ჩვენი ნაკრებიდან, რომელიც შეჯიბრებას გამოეთიშა. ჩემპიონატის კალენდრით გათვალისწინებული შეხვედრების მესამედი უკვე გაიმართა და დაუმარცხებლად ბრძოლას მხოლოდ კუბის ნაკრები განაგრძობს. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდიდან ჯერჯერობით ერთმა სპორტსმენმა წაიგო შეხვედრა, ხოლო იუგოსლავთაგან — ორმა.

ფეხბურთი

მეოთხედ

დღეს ბუქარესტში გაიმართება სსრ კავშირისა და რუმინეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. ეს იქნება გუნდების რიგით მეოთხე შეხვედრა. პირველად სსრ კავშირმა რუმინეთის ნაკრები კოლექტივების მატჩი გაიმართა 1957 წლის 1 ივნისს მოსკოვში, და ფრედ — 1:1 დამთავრდა. მეორე შეხვედრა მოეწყო კიევში 1973 წლის 18 აპრილს. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0. 1975 წლის 29 ნოემბერს საბჭოთა ნაკრები ეწვია ბუქარესტს. ამჯერად გუნდებმა 2-2 გოლი გაიტანეს და ფრეს დასჯერდნენ.

დღეგანდელ მატჩში მონაწილეობისთვის სსრ კავშირის ნაკრები, უფროსი მწვრთნელის ნ. სიმონიანის მეთაურობით, ბუქარესტში ასეთი შემადგენლობით ჩაეფრენა: დეგტიარიოვი, გონტარი, პრიგოდა, ჟუპიკოვი, ბუბნოვი, მახოვიკოვი, ბერეზუცკი, ბურიაკი, კოლოტოვი, კონკოვი, ბესონოვი, ფიოდოროვი, პეტრაკოვი, ყიფიანი და ბლოხინი.

დღეს ფინალია

დასასრულს მიუახლოვდა ჭაბუკ ფეხბურთელთა უეფას ტურნირი, რომელიც პოლონეთში მიმდინარეობს. სსრ კავშირის ჭაბუკებმა ნახევარფინალში დაამარცხეს პოლონელები ანგარიშით 2:1 (1:0) და ფინალში გავიდნენ.

აღსანიშნავია, რომ მთელ ტურნირში საბჭოთა ფეხბურთელებს ერთხელაც აღება მზოლოდ პოლონელებმა შეძლეს. მანამდე, ქვეჯგუფში გამართულ სამ მატჩში საბჭოთა სპორტსმენებმა 10 გოლი გაიტანეს. გადამწყვეტ მატჩში მათი მეტოქეები იქნებიან იუგოსლავები, რომლებმაც ნახევარფინალში შოტლანდიელებთან შეხვედრა ფრედ (2:2) დაამთავრეს, მაგრამ პენალტების სერიით გაიმარჯვეს.

დღეს ფინალური მატჩი გაიმართება.

გათამაშების ცხრილი

პირველი ლიგა

მდგომარეობა 14 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ყუბანი“	7	6	1	0	14-3	13
„ტავრია“	8	4	3	1	14-6	11
„დინამო“ (მნ.)	8	4	2	2	14-9	10
ასკ (რ.)	8	3	4	1	13-8	10
„ტორპედო“	8	4	2	2	12-10	10
„ნისტრუ“	7	4	1	2	9-7	9
„ჯარპატი“	7	4	0	3	10-8	8
„კრ. სოვეტ.“	7	3	2	2	8-6	8
„ფალგარისი“	8	1	6	1	9-8	8
„მინაკი“	8	2	4	2	6-7	8
„თერგი“	8	4	0	4	7-11	8
„სპარტ.“ (ორ.)	8	3	1	4	8-9	7
„პამირი“	8	1	5	2	5-7	7
„სპარტ.“ (ი.-ფ.)	7	2	2	3	4-9	6
„კუზბასი“	7	2	1	4	7-8	5
„დინამო“ (ლ.)	8	1	3	4	10-14	5
„მეტალურგი“	8	0	5	3	6-10	5
„ქოლბოზჩი“	8	0	5	3	5-11	5
„ურალმაში“	7	2	1	4	4-10	5
ასკ (ოდ.)	7	1	2	4	6-10	4

ვინ სად თამაშობს?

მკითხველს უთუოდ დაინტერესებს, ვინ სად თამაშობს ჩვენს თანამემამულეთაგან სსრ კავშირის ფეხბურთელთა სხვადასხვა გუნდში. ჩვენი თანამემამულენი უმაღლესი ლიგის სამ კოლექტივში გამოდიან: მოსკოვის „დინამოში“ — თავდამსხმელი ზ. წერეთელი (1953 წელს დაბადებული), მოსკოვის „ლოკომოტივში“ — თავდამსხმელი გ. ნოდია (1948), ოდესის „ჩერნომორეცში“ — თავდამსხმელი თ. ესებუა (1954); პირველი ლიგის გუნდები: გროზნოს „თერგში“ თამაშობს თავდამსხმელი ა. ჩიხლაძე (1949), ლენინგრადის „დინამოში“ — მცველი რ. ჭოხონელიძე (1948), ორჯონიკიძის „სპარტაკში“ — მცველები გ. ციბაშვილი (1953) და ნ. ჩიტაური (1951), აგრეთვე, ნახევარმცველი გ. ჩქარეული (1960), ოდესის არმიელთა გუნდში — მ. ნიკოლაიშვილი (1954).

მოკლედ

ფარიკაობა. იტალიაში დამთავრდა ხმლით მოფარიკავეთა ხაერთაშორისო ტურნირი, რომელიც მიეძღვნა გუსტავო მარცის ხსოვნას. საბჭოთა სპორტსმენებმა ფინალური ბრძოლა მოუგეს მასპინძლებს ანგარიშით 8:1.

ველოსიპედი. მშვიდობის 31-ე ველოსიპედის ზეორე ეტაპი (ბალე-ეერფურტი, 182 კმ) მოიგო საბჭოთა სპორტსმენმა ა. პიკუუსმა. პროლოგისა და ორი ეტაპის შემდეგ რბოლის ლიდერია ა. პიკუუსი, გუნდურ ჩათვლაშიც საბჭოთა ნაკრები დაწინაურდა.



ა. ბრეგაძე

გარდაიცვალა საქართველოს [illegible] ბიოლოგიის ფიზიოლოგიის [illegible] ბელი, აკადემიკოს, ი. ბერიტაშვილის ერთ-ერთი პირველი მოწაფეთაგანი და უახლოესი თანამშრომელი, საქართველოს ფიზიოლოგთა და ფსიქოლოგთა საზოგადოების წევრი, აღმოსავლეთ და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბრეგაძე.

ა. ბრეგაძე დაიბადა 1901 წლის 29 მარტს ქუთაისში, 1926 წელს დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა-ფსიქოლოგიის განყოფილება და იმავე წელს დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში, რეფლექსოლოგიის კათედრაზე. 1930 წლიდან ა. ბრეგაძე სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტია, 1940 წლიდან კი ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი.

1926 წლიდან დაწყებული ნაციოტლის უკანასკნელ დღემდე ა. ბრეგაძე ეწეოდა მეტად ნაყოფიერ და მრავალმხრივ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ფიზიოლოგიის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით კი თავის ტვინისა და უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიაში.

ნახევარსუკუნოვანი კვლევის მანძილზე მის მიერ გამოქვეყნებულია 80-ზე მეტი შრომა ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე. 1937-1952 წლებში იგი განაგებდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის განყოფილებას და იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანი.

1942-1953 წლებში პროფესორი ა. ბრეგაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანია, ხოლო 1959 1963 წლებში ბიოლოგიისა და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 1960 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე იგი განაგებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრას. იგი ნაყოფიერად მოღვაწეობდა აგრეთვე საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით.

პროფ. ა. ბრეგაძე წლების განმავლობაში სათავეში ედგა საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა ფიზიოლოგების სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზაციას, ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობისათვის ა. ბრეგაძე დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით.

პროფ. ა. ბრეგაძე გამოირჩეოდა საქმისადმი უანგარო და ერთგული დამოკიდებულებით, ადამიანებთან ურთიერთობაში განსაკუთრებული გულისხმიერებით. მეცნიერს, პეოგაგოგს, საზოგადო მოღვაწეს ნათელი ხსოვნა ღიღხანს ინარჩუნებს მისი კოლეგებისა და აღზრდილების გულში.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბიოლოგიის ფაკულტეტი; ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი; საქართველოს ფიზიოლოგთა და ფსიქოლოგთა საზოგადოება.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნება გვიბოძეთ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გადავუხადოთ ყველა ამხანაგსა და ორგანიზაციათ-დაწესებულებას, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი დიდი მწუხარება სსრ კავშირის სახალხო არტისტის დიდო ანთაძის გარდაცვალების გამო.

დ. ანთაძის ოჯახი.

„სპორტლოტო“

გაცნობებთ 13 მაისს გამართული შაბათის სპორტლოტოს (36-დან 5) მე-19 ტირაჟის შედეგებს:

1-ლი ტირაჟი: 4 (კრივი), 6 (კლასიკური ჭიდაობა), 11 (ტანვარჯიში), 29 (ტყვიის სროლა), 33 (ფიგურული ციგურაობა).

მე-2 ტირაჟი: 6 (კლასიკური ჭიდაობა), 13 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 23 (ფულბტომი), 25 (ცეკვა), 33 (ფიგურული ციგურაობა). (საკვლევი).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ვრცის საშინჯე

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა ნიკო ფიროსმანაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა

იგი სამოცი წლის წინათ მიიცვალა უპატრონო, მიუსაფარი. თბილისის ქუჩა-ბანდებს, დუქნებსა და მოედნებს არაფრად ჩაუგდიათ აწოწილი ლანდის, ბედუკულმართი მხატვრის დაკარგვა. წავიდა და დაგვიტოვა უკვდავი შემოქმედება, რომელიც, ლადო ასათიანის თქმისა არ იყოს, „ახლა დაფასდა“.

ნიკო ფიროსმანის მხატვრობამ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ პარიზის, ვენის, ბუდაპეშტის საგამოფენო დარბაზებში ნამდვილ ხელოვნებას აზიარა უამრავი დამთვალიერებელი.

ფიროსმანის ნამუშევართა ექსპოზიცია ჩვენი ეროვნული კულტურის ზეიმი იყო ყოველთვის, მხატვრის ნაწარმოებთა გამოფენის გახსნაზე საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ახლაც ზღვა ხალხი მივიდა. წინა გამოფენებთან შედარებით ახალს ის დიდი უპირატესობა აქვს, რომ აქ წარმოდგენილია თითქმის მთელი ფიროსმანი, თავმოყრილია ას ორმოცდაათამდე ნახატი. ეს ნახატები, ზოგი ქუთაისის სურათების გალერეიდან მოიტანეს, ზოგიც მერზაანის ნ. ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმის ფონდებიდან და კერძო კოლექციებიდან. ექსპოზიციას, მის ახლებურად გადაწყვეტას დიდი ამაგი დასდო მხატვარმა თენგიზ მირზაშვილმა.

გამოფენა გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა.

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ჯანბერიძემ, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა თ. სანიკიძემ აღნიშნეს ახლანდელი გამოფენის მასშტაბურობა, დამახასიათებელი ნიკო ფიროსმანისადმი მიძღვნილი ღონისძიებისა. ნონეშვილმა წაიკითხა ფიროსმანისადმი მიძღვნილი ლექსი.

გამოფენის გახსნას ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე.

...კარგა ხანს ნიკო ფიროსმანი გამეფდება ამ დარბაზებში. და ლარიბი მირზაანელი კიდევ ერთხელ გაგვაოცებს თავისი ფასდაუდებელი სიმდიდრით.

ვ. მარდალეიშვილი.



სურათებზე: ზემოთ — ნ. ფიროსმანაშვილის ფერწერული ტილოები „კახეთის ეპოსი“ და „ირემი“, ქვემოთ — გამოფენის ერთ-ერთ დარბაზში.

ი. ნონეშვილის საიუბილეოდ

გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის, რესპუბლიკის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, გამოჩენილი ქართველი პოეტის იოსებ ნონეშვილის დაბადების მე-60 წლისთავის აღმნიშვნელი საიუბილეო კომისიის სხდომა. სხდომამ დაადგინა პოეტის ფუბილე აღნიშნოს წლეულს შემოდგომაზე (საქინფორმი).

ა რ ჩ ვ ი დ ა ბ რ უ ნ დ ა

ოზი. (საკ. კორ.). მეტყევე ვ. სულთანიშვილი იმ დღეს გვიან ღამით ბრუნდებოდა შინ. თავის ხოფელ გლოლას რომ მიუახლოვდა, გზის პირას პატარა არჩვი შენიშნა. იგი ღრმა თოვლში ჩაფლულიყო, შიმშილისაგან ლონემიხდილი ვერც წინ მიდიოდა და ვერც უკან.

ნადირი ადამიანის დანახვისას არ დაფრთხა. ტყის მცველმა უმწეო ცხოველი ხელში აიყვანა, მაზარაში გაიტანა და შინ მიიყვანა. ოჯახის ყველა წევრი უკვლდა არჩვს.

დადგა გაზაფხული, მიწამ პირი იჩინა, დათბა. მზრუნველმა ადამიანებმა ოთხფეხა სტუმარი მდინარე ჭანჭახის ნაპირთან მიიყვანეს და ტყეში გაუშვეს.

ყველას ეგონა, რომ ამიერიდან მას ვეღარ იხილავდნენ. თავისუფლების მოყვარული ნადირი ეღირან ტყეში გადაიკარგებოდა. მაგრამ მოხდა საოცრება. სულ მალე არჩვი სოფელში დაბრუნდა და სულთანიშვილების ეზო-კარმიდამოს ეწვია. თავის თბილ და მყუდრო ბინას მიაშურა.

ვ. ცირეკიძე.

საქართველო უცხოელი სტუმრების თვალით

აღტაცებული ვართ...

„აღტაცებული ვართ ისტორიული და თანამედროვე საქართველოთი“ — თქვა საქინფორმის „ორესპონდენტის ა. ვიგანასკისადმი მიცემულ ინტერვიუში საფრანგეთის არქეოლოგთა საზოგადოების ხელმძღვანელმა ანრი-პოლ ეიდუმ. მის აზრს იზიარებენ ლუვრის მუზეუმის დირექტორი ფრანსუა სალე, პარიზის ხელოვნებათა უმაღლესი სკოლის ისტორიისა და არქეოლოგიის მასწავლებელი ჟან ლელიევრი და საფრანგეთიდან ჩამოსულ არქეოლოგიის სპეციალისტთა და მოყვარულთა დიდი ჯგუფის სხვა წევრები, რომლებმაც რამდენიმე დღე დაჰყვეს ჩვენს რესპუბლიკაში.

— საქართველოში მესამედ ჩამოვდივარ, — თქვა სპეციალიზებული ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელმა ანრი-პოლ ეიდუმ, მეცნიერული მონოგრაფიის „ანტიკური საფრანგეთისა“ და ბევრი სხვა ფართოდ ცნობილი ნაშრომის ავტორმა, — და კვლავ მაოცებს ძველ ქართველ ხუროთმოძღვართა სიდიადე, რომლებმაც შექმნეს ისეთი ანსამბლები, როგორიცაა სვეტიცხოველი, ჯვარი, ალავერდი, იყალთო. მცხეთის სვეტიცხოველის კათედრალის ერთ-ერთ ფასადზე ჩემი ყურადღება მიიპყრო რელიეფმა — ვაზის გამოსახულებამ. ხატების მოჭედილობის ორნამენტის ხაზებიც ძველ მხატვარს ვაზმა შთააგონა. განა ეს არ ადასტურებს, რომ ქართველი ხალხი ოდითგანვე მშვიდობასა და შემოქმედებას ესწრაფვოდა? ამას ვხედავთ დღევანდელ საქართველოშიც.

ფრანგმა სტუმრებმა ისიც შეიტყვეს, რომ საქალაქო მეურნეობისა და ტრანსპორტის ინტენსიური განვითარების მიუხედავად, თბილისის ცენტრში დაცულია ძველი მიკრორაიონი.

სრულიად საკავშირო საქციო საზოგადოება „ინტურისტის“ თბილისის განყოფილების მუშაკთა ზრუნვის შედეგად ფრანგ არქეოლოგებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ ისტორიულ ანსამბლებს კახეთში, მცხეთაში, თბილისის ღირსშესანიშნაობებს, სწვეოდნენ საქართველოს ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმებს.

— ბევრი მომიზაურია, — თქვა საუბრის დასასრულს ფრანგი არქეოლოგების ჯგუფის ხელმძღვანელმა, — მაგრამ არსად არ მინახავს ამდენი მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი, რამდენიც თქვენი შედარებით პატარა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვნახე.

(საქინფორმი).

კომუნისტი | **ჩვენი ეროვნული და ტექნიკური ნაკლი**

ტფილისი-96 ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებისა—93-23-03. 93-03-09 პ/მგ მდივნის — 93-72-80. სამდივნოსი — 93-66-10. განუყოფელებებისა: ბარტიული—93-87-61. პროპაგანდის — 93-22-93. ჰრეწველობის — 93-20-34. ხოფლის მეურნეობის — 93-52-46. საბჭოთა ჭშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების. უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58. ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-55-01. ინფორმაციის — 93-16-90. უცხოეთის — 93-80-21. წერილების — 93-73-24. ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТ ИНДЕКС 66443 УЕ 07839

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ტელევიზია

14 მაისი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — „კინონარკვევი. 09.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ალმასის წახნაგი“, „სამკურნალო წყლების მხარეში“ (ფერადი). 10.10 — „ცეროდენას ჭარანი“ (ქართულ ენაზე), 10.30 — „მაღვიძარა“ (მოსკოვიდან), 11.00 — შვილსწავლოთ რუსული ენა, 11.30 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან“ (ფერადი), 12.50 — მოსწავლეთათვის „დიდი გზის დასაწყისი“, 13.20 — „სატადრაკო სკოლა“, 13.40 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა, 14.10 — „მუსიკალური კიოსკი“ (მოსკოვიდან), 14.40 — „კინოფიშა“, 15.10 „დიდ კარის დღე“ — საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, 16.05 — დოკუმენტური ფილმი, 16.25 — „საერთაშორისო პანორამა“ (მოსკოვიდან), 17.00 — ბავშვებისათვის „მხიარული სასტუმრო“ (ფერადი), 17.35 — „ჩვენი სოფელი“ — სატელევიზიო პროგრამა, 18.20 — „კინოს მოყვარულთათვის“, 19.25 — „კინომოზაურობის კლუბი“ (მოსკოვიდან), 20.30 — კონცერტი. 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — „ფერადი დოკუმენტური ფილმი „ყარაჩინგილი“, 22.00— „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში. ფინალური ჯგუფის მონაწილეთა მატჩი. III პერიოდი (პრაღიდან).

მეორე პროგრამით

17.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ფუნფუშა“ (ფერადი), 18.20 — დოკუმენტური ფილმი „რუსული ბალეტი იაპონიაში“ (ფერადი),